# საქართველოს რესპუბლიკა




დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 5 ნოემბერი, 2011 წელი.

№209 (6840)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge



ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


## როგორ აჭრიან ხელებს „ქართუ ბანკს“



②

## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განცხადება




ბოლო დროს ხმაური ატყდა ჩვენს პრესასა და ტელევიზიაში საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საქველმოქმედო „ქართუ ჯგუფთან“ და შესაბამის ბანკთან ურთიერთობასთან დაკავშირებით.

მეცნიერებათა აკადემია, როგორც საბიუჯეტო სახელმწიფო ორგანიზაცია, აცხადებს, რომ ჩვენი ურთიერთობა „ქართუ ბანკთან“ უცვლელი რჩება, გარდა საბიუჯეტო ხელფასების გაცემისა აკადემიის თანამშრომელთა და აკადემიის წევრთათვის; ამიერიდან ეს თანხები, სახელმწიფო ხაზინის მითითებით, გაიცემა სხვა ბანკების მეშვეობით (როგორც ითქვა, „ტექნიკური პრობლემების გამო“).

## შხუილ-შხუილით გადაფრენილი გედები და „დაჩაგრული“ ჟურნალისტები




ანუ რატომ არის დღეს „მშვენიერი“ არა ცხოვრება, არამედ სიცოცხლე

③

## სირცხვილია, ქეთუსია, კარგი მხატვრის ქალიშვილი მაინც არ იყო!



④

## ასე მალე ნუ „აღაფდაფდებით“...

④



⑧

## რუსეთი და საქართველო გარიგებას ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასთან დაკავშირებით სხვადასხვაგვარად აფასებენ

1941 წლის 7 ნოემბრის ისტორიული პარადის 70 წლისთავი

## ლეგენდარული ბედის ადამიანი

⑨



## მუზეუმის მუშაკთა ციმბირული ოდისეა

⑥



ძალადობა

# როგორ აჭრიან ხელებს „ქართუ ბანკს“

**ჭავჭავაძის პროსპექტზე „ქართუ ბანკის“ წინ უამრავ ხალხს მოუყრია თავი, ამდენის შეკრება ლეიბორისტებმა 7 ნოემბრისთვის გამოცხადებულ მიტინგზე რომ მოახერხონ, მაგარი ბიჭები იქნებიან.**

**სწორედ ამ ხალხმრავლობით დავიწყეთ „ქართუ ბანკის“ პრეზიდენტთან ნოდარ ჯავახიშვილთან ინტერვიუ.**

**— ბანკის შემოსასვლელთან და ვესტიბიულში ზღვა ხალხია. რა ხდება ბატონო ნოდარ, ვინ არის ეს ხალხი, რა უნდათ?**

— ხალხი ბიძინა ივანიშვილისადმი მხარდაჭერას გამოხატავს. ისინი ანგარიშებს ხსნიან „ქართუ ბანკში“. ვფიქრობ, ეს ძალიან კარგი მომენტია ქართული საზოგადოების ცხოვრებაში. საზოგადოება გათითოკაცებული იყო, არ ჰქონდა სხვისი ჭირის გაზიარების გრძნობა, მე მიხარია, რომ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენამ წააქეზა ადამიანთა თანადგომა. ეს არის საზოგადოების ღია პროტესტი, „ქართუ ბანკის“ გამოსარჩლება მის მიმართ 18 ოქტომბრის შემდეგ ყოველდღიურად განხორციელებული სხვადასხვა ფორმის ზეწოლის გამო.

**— მე წავიკითხე თქვენი ნათქვამი, ბევრმა ახალმა მეანაბრემ შემოიტანა თანხა „ქართუ ბანკში“, მაგრამ ბევრმა გაიტანა კიდეცო.**

— ანგარიშის გახსნის რაოდენობა ბევრად ჭარბობს! მარტო გუშინ და გუშინწინ 2000-მდე ადამიანმა გახსნა ჩვენთან ანგარიში, რაც უპრეცედენტოა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოში. თანხობრივად ეს არ არის დიდი დახმარება, მაგრამ ფინანსური პრობლემა არც აქვს ჩვენს ბანკს, მთავარი აქ საზოგადოების მორალური თანადგომაა.

**— დაახლოებით რა თანხაა შემოსული?**

— ხალხს არა აქვს ბევრი ფული. შემოსულია 200 000-ზე მეტი ლარი. როგორც გითხარით, ბანკისთვის ეს დიდი თანხა არ არის, მაგრამ საგულისხმო ამ შემთხვევაში ხალხის თანადგომაა. რაც შეეხება გატანას, წინა კვირაში 270 ორგანიზაცია და ფიზიკური პირი წავიდა ჩვენგან, რაც ფინანსურად მნიშვნელოვანი დანაკლისი — 45 მილიონზე მეტია, საუბარია მსხვილ კლიენტურაზე, რომელსაც ხელისუფლება მართავს. საბანკო სისტემისთვის კი სრულიად მიუღებელია კლიენტურაზე ზეწოლა, ბანკის სპეციალურად დაზარალება.

**— ე. ი. სახელმწიფო საგანგებოდ ახდენს ზეწოლას „ქართუ ბანკზე“?**

— რა თქმა უნდა. ხელისუფლება ცდილობს, შეგნებულად გაუჩინოს ხალხს ჩვენი ბანკისადმი, ზოგადად ბანკებისადმი უნდობლობა. მაგრამ საზოგადოებამ იცის, რომ ჩვენს ბანკს არა აქვს ფინანსური პრობლემა, ხალხი ხედავს სახელმწიფოს დაპირისპირებას „ქართუ ბანკის“ მიმართ, რაც არავინ იცის, სადამდე შეიძლება გაღრმავდეს, ამიტომ გაჩნდა შიში. თუმცა, გარწმუნებთ, შიშის გამო ჩვენგან წასული ცოტაა, ანუ ძირითადად ეს სახელისუფლებო ბიზნესია, რაშიც თვით ხელისუფლების წარმომადგენლები არიან ჩართული, მათთვის ზემოდან განკარგულება სრულიად საკმარისია.

**— ბატონო ნოდარ, ხალხს ძალიან აინტერესებს „ქართუ ბანკი“ ხელისუფლების მიერ წარმართულ თანხას ამოიღებს თუ ვერა?**

— რიტორიკული შეკითხვაა. თუ ქვეყანა ყოველთვის ჩალით იქნება დახურული, პასუხი უარყოფითია. რა, ცოტას წაართვეს?

**— მაგრამ ბანკი ხომ ფიზიკური პირი არ არის, დახვდე და წაართვა?**

— ორგანიზაციებიც ფიზიკურ პირებს აერთიანებს, საბოლოოდ მაინც ფიზიკურ პირამდე მიდიხარ. ბანკის უკან ფიზიკური პირი დგას... ეს საზოგადოებისთვის კარგი მაგალითია იმისა, თუ სადამდე მიდის ჩვენი ხელისუფლების უკანონობა. მაგრამ ეს არ გაუვათ!

**— გვაიმედებს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის განცხადება, რაღაც ფორმით ფულის დაბრუნების თაობაზე.**

— ეს განცხადება, ჩემო ბატონო, არავითარ იმედს არ აჩენს ჩემში და რატომ გაიმედებთ თქვენ, ვერ გამიგია! მოკლედ ავხსნი. ეროვნულ ბანკს აქვს თავისი საკანონმდებლო მოვალეობები სხვა ბანკებთან მიმართებაში, ვალდებულებები და ა. შ. ეროვნული ბანკი ფინანსურ დახმარებას სთავაზობს ბანკს, რომელსაც ფინანსური პრობლემები არა აქვს. დაფიქრდით. რატომ გვთავაზობს იმას, რაც არ გვჭირდება და არა იმას, რაც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. თავად გააკეთეთ დასკვნა. ჩვენ არა ვართ კრიმინალური ბანკი და ის „ოპერაცია“, სულ მცირე, შეცდომა იყო ხელისუფლების მხრიდან, სამართალდამცავების მხრიდან, ჩვენ არაფერ შუაში არა ვართ. ეროვნულმა ბანკმა უნდა მიიღოს ზომები, რომ არ მოხდეს უკანონობა, არ მოხდეს კლიენტებზე ზეწოლა. ამაზე ხმას არ იღებს და გვთავაზობს იმას, რაც არ გვჭირდება. იცის, რომ 50 პროცენტი ლიკვიდობა გაქვს და ფულს გვთავაზობს.

**— ამით რისი მიღწევა უნდა?**

— ერთადერთი მიზანი იკვეთება — ეროვნული ბანკი ცდილობს ჩემი აქ მოსვლის დღიდან შექმნას საზოგადოებრივი აზრი, რომ ნოდარ ჯავახიშვილი პოლიტიკურად ანგაჟირებულია და არ თანამშრომლობს ეროვნულ ბანკთან, ამიტომ ვერ დავუჭერთ მხარს კომერციულ ბანკში პრეზიდენტად მის კანდიდატურასო. ამბობს, აი, მე ვთავაზობ ფულსო, მაგრამ, რატომ მთავაზობ, როცა არ მჭირდება? მე დახმარება კი არ მინდა, არამედ — ჩემი ფულის დაბრუნება! რაც მთავარია, გააკეთე განცხადება, რომ ჩვენ მიერ არ იყო განხორციელებული კრიმინალური ოპერაცია და მას შემოწმება არ სჭირდება. დღეს ერთი კომერციული ბანკის წარმომადგენლობა იყო ჩემთან, რომელიც ფილიალს ხსნის. ოპერაცია ჩატარდა კომერცბანკის მეშვეობით და როცა დავუსვი შეკითხვა, შეიძლება ეჭვი შევიტანო, რომ თქვენგან გადმორიცხული ფული შავი იყოო? მან აღშფოთებულმა მიპასუხა, არავითარ შემთხვევაშიო! დიახ, კომერცბანკში მოხდა ჩვეულებრივი რიგითი ოპერაცია.

**— ეროვნული ბანკი „ქართუ ბანკში“ შემოვიდა, დღესაც აქ არის?**

— დღესაც აქ არის და, გარწმუნებთ, კიდევ დიდხანს დარჩება.

**— რას ამოწმებენ და რა შედეგით შეიძლება წავიდნენ?**

— არაფერს არ ამოწმებენ. აკონტროლებენ ჩვენს ოპერაციებს — ჩემმა თანამშრომელმა ოპერაცია რომ ჩაატაროს, წინასწარ უნდა შევათანხმო მათთან, ეს ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, სცილდება ეროვნული ბანკის უფლებამოსილებას. ამის აუცილებლობა არ არის. შემოწმების დროს მოწმდება გარკვეული პერიოდი, მე კი ყველაფერი უნდა შევათანხმო მასთან. კი ბატონო, ვათანხმებთ, წინააღმდეგობას არ ვუწევთ.

**— რატომ? ნოდარ ჯავახიშვილი და ასეთი მორჩილი?**

— გართულებას ვერიდებით. უარის თქმა კიდევ ერთი საბაბი იქნება ეროვნული ბანკისთვის, განაცხადოს, შემოწმების საშუალებას არ გვაძლევენო. არის ერთი მოთხოვნა, რომელსაც მე არ ვასრულებ და ამას ეროვნული ბანკი ყოველდღიურად უკეთებს შეფასებას, თუმცა, ეს მოთხოვნა მის ფუნქციებში არ შედის და,



რაც მთავარია, არც არის აუცილებლობა.

**— რა მოთხოვნაზეა ლაპარაკი?**

— მას აქვს უფლება, მოითხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია, რასაც ვაძლევთ კიდეც, მაგრამ ახლა შემმოწმებლებმა მოითხოვეს — საოპერაციო პროგრამა, რომლითაც მუშავდება დოკუმენტები, დაგვიყენეთ ჩვენს კომპიუტერშიო. ინფორმაციას მივცემთ, მაგრამ მისი დამუშავების ტექნოლოგიას — არა, რადგან მოვალე არა ვარ, ხოლო მას — მოთხოვნის უფლება არა აქვს.

რა დოკუმენტი შედის პროგრამაში — ნახეთ, რა პროგრამაა — ნახეთ, რა პროდუქცია გამოდის — ნახეთ, მაგრამ პროგრამის თავის კომპიუტერში ჩატვირთვის მოთხოვნის უფლება არა აქვთ. გვინდა ვნახოთ, რამდენად სწორად მუშაობს პროგრამაო. კი, ბატონო, დაბრძანდით ნებისმიერ კომპიუტერთან და ნახეთ როგორ მუშაობს.

მარტივ მაგალითს მოვიყვან: ნებისმიერი საწარმოს შემოწმების



დროს შემმოწმებელს შეუძლია მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია, ნახოს საწყობი, დააკვირდეს ტექნოლოგიურ პროცესს. ვთქვათ, ნახოს როგორი ხორცი შედის დაზგაში და როგორი ძეხვი მიიღება. მაგრამ ესენი მეუბნებიან, დაზგა გაგვიხსენიო. დაზგას აქვს თავისი პასპორტი, მუშაობის სქემა, კი ბატონო, ნახე, მაგრამ შინ გაგატანო და შენ ამუშავო? მით უმეტეს, რომ შენი დამოკიდებულება აშკარად მტრულია, ჩაყრი რაღაცას დაზგაში და მერე იტყვი, მოწამლულ ძეხვს უშვებო.

**— რამდენად გაუძლებს „ქართუ ბანკი“ ასეთ დაწოლას?**

— ფინანსურად ბანკი ყველაფერს გაუძლებს, მეც გავუძლებ. მეტი არ ვიცი.

**— რატომ გეკითხებით იცით, ყოველდღე ახალ-ახალ სისაძაგლეებს ვიგებთ. აი ახლაც, ბათუმში შეაჩერეს „ქართუ ჯგუფისთვის“ განკუთვნილი ტვირთები...**

— მერე რას მიაღწიეს. სადღაც ბაღის მშენებლობა შეჩერდება, სადღაც — საავადმყოფოს კომპლექტაცია. „ქართუ ჯგუფი“ ხომ თავისთვის არაფერს აკეთებს, რასაც აშენებს, საზოგადოებას ჩუქნის. ყველაფერ ამით დაზარალდება საზოგადოება და სათანადო გადაწყვეტილებებსაც მიიღებს.

**— თქვენი საუბრიდან გამოდის დასკვნა, რომ ყველაფერი ბანკის გასაკოტრებლად კეთდება!..**

— რასაკვირველია. მარტივ რამეს გეტყვით: ამ რამდენიმე დღის წინათ ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა აღშფოთებული იყო, თუმცა, აღშფოთება ჯერ საჯაროდ გაცხადებული ვერ ვნახე. ჩვენ თავის დროზე ავიღეთ ვალდებულება უნივერსიტეტის რემონტზე, არავინ გვავალდებულებდა, ჩვენ თვითონ ვივალდებულებთ თავს, ხომ? დღეისთვის დარჩენილია მხოლოდ ასფალტის დაგება. გამოვაცხადეთ ტენდერი, გაიმარჯვა ერთ-ერთმა ორგანიზაციამ, ხელშეკრულება მოვამზადეთ და ხელის მოწერის მომენტში, ჩვენთვის გაუგებარი თუ გასაგები მიზეზის გამო, ამ ორგანიზაციამ უარი განაცხადა ხელშეკრულების ხელმოწერაზე. უეჭველია, ვილაცამ დააფრთხო, თავი გაენებებინათ ამ საქმისთვის. უნივერსიტეტში ერთი ამბავი ატყდა. ჩემთან რატომ რეკავთ, იმასთან დარეკეთ, ვინც უარი თქვა-მეთქი, ვუთხარი. მაინც მოვძებნეთ ახალი ორგანიზაცია, ვაპირებთ ასფალტის დაგებას, მაგრამ არ ვიცი, დავაგებთ? თუ ვერ დავაგეთ, მაშინ უნივერსიტეტმა იფიქროს, რა ქვეყანაში ვცხოვრობთ და იქნებ გადადოს სწავლა ამ ეტაპზე, სხვა რამე აკეთოს? უნივერსიტეტი ვერ მოითხოვს, ასფალტიც დამიგე და ხელისუფლებასაც შენ მოერიეო.

**— ქვეყანაში აჟიოტაჟი ატყდა, ბიძინა ივანიშვილის ცნობილი დახმარებები ხომ არ შეჩერდებაო. რას გვეტყოდით?**

— ჩემთანაც ბევრი რეკავს, დახმარებები ხომ გაგრძელდებაო. დახმარება იქნება, თუ ორივე ხელი არ დაგვაჭრეს, მაგრამ ხელებს რომ გვაჭრიან, შენც ამოიღე ხმა, შე კაი დედმამიშვილო.

**— რამდენად შესაძლოა ხელების ბოლომდე დაჭრა, ანუ ბანკის ჩაძირვა?**

— იცით, ახლა რას მეკითხებით? რამდენად შეუძლია არაკაცს ტყვია მესროლოს ქუჩაში? თვითონ გაეცით პასუხი ამ კითხვას. ეს საქართველოში შესაძლებელი და დასაშვებია, მაგრამ ეს იქნება აბსოლუტურად უკანონო და შეუსაბამო ცივილიზებული საზოგადოების ყველა ნორმასთან. შეიძლება, რასაკვირველია, მაგრამ ეს იქნება უსამართლობა, აღვირახსნილობა, ბანდიტიზმი, ვოლუნტარიზმი, მაგრამ — შეიძლება.

**— რაიმე საერთაშორისო დახმარება არ მიგიღიათ ამ მხრივ?**

— ძალიან მტკივა გული, რომ ღიად ეს არ გაჟღერებულა. მე სერიოზულად ვესაუბრე სავალუტო ფონდის წარმომადგენელს, ევრობანკის წარმომადგენლებს. ვიცი, რომ მერე მათ ერთმანეთთან ისაუბრეს ამის თაობაზე, მაგრამ საფინანსო ინსტიტუტების კატეგორიულობა ხელისუფლების მიმართ არ ჩანს, შორსმიმავალი განცხადება მათგან არ გაკეთებულა. თუმცა, გეტყვით, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მინიმუმ, პასუხისმგებელია საქართველოში საბანკო სისტემის მდგრადობაზე, მსოფლიო ბანკი კი, მინიმუმ, მორალურად პასუხისმგებელია. მით უფრო, რომ დიდი ფულია ჩადებული საქართველოში — ძირითადად, სახელმწიფოს მიერ სესხად აღებული თანხები, თანაც ევრობანკს და მსოფლიო ბანკს უდიდესი თანხები აქვთ ჩადებული საბირჟო-საბანკო სისტემის შექმნის მიზნით. ჰოდა, პასუხისმგებლობა მხოლოდ მორალურია? მინიმუმ, მორალური მაინც ხომ არის? რა უთხრეს მათ წარმომადგენლებს ხელისუფლებამ, არ ვიცი, მაგრამ, ფაქტია, საქართველოს ეროვნული ბანკი აგრძელებს პოლიტიკურად მოტივირებულ ზეწოლას „ქართუ ბანკზე“.

**— კვლავ ფინანსურ დახმარებებს მივუბრუნდეთ. ამბობენ, თითქოს ძალად უარი ათქმევინეს სპორტსმენებს, ხელოვანებს, მეცნიერებს და ა. შ.**

— აბა, ვინ თქვა უარი, ქალბატონ ნანა ალექსანდრიას გარდა?

**— ითქვა, მაგალითად, თითქოს რუსთაველის სახელობის აკადემიურმა თეატრმაო.**

— თეატრის შესახებ ეს ნათქვამი ჩვენი შეცდომაა. თანამშრომელს რუსთაველის თეატრი რუსთაველის სახელობის კინოსა და თეატრის ინსტიტუტში თუ უნივერსიტეტში აერია. მაგრამ იმას კი გეტყვით, რომ ბატონი ბიძინა ივანიშვილი ყოველთვიურად 1 მლნ 300 000 ლარს გასცემს დახმარების სახით. დახმარებას იღებენ კულტურის მუშაკები, მეცნიერები, სპორტსმენები, ყველა სახელოვანი ადამიანი, რომელსაც საქართველოსთვის რაიმე სიკეთე მოუტანია. ძალიან გაგიჭირდებათ, მოძებნოთ მეტ-ნაკლებად ცნობილი ადამიანი, რომელსაც ბატონი ბიძინა ივანიშვილი არ აფინანსებს. თვეში ზოგს 5 000 ლარი აქვს, ზოგს — 4000, 3000, 2000 და ა. შ. რატომ არ ისმის მათი აღშფოთება? ამ კითხვას პასუხი თვითონ საზოგადოებამ გასცეს. მე არავის არაფერს მოვუწოდებ, მაგრამ...

**— ჰო, ეს ხალხი ჯერჯერობით ჩუმად არის. აქ კიდევ ერთი კითხვა იბადება, რომლის უკანაც ბევრი ადამიანი დგას: შეიძლება, უმადურობით გულგატეხილმა ბატონმა ბიძინამ უარი თქვას ასეთ ქველმოქმედებაზე?**

— არა მგონია. გულწრფელად გეტყვით, მე მქონდა ამის მცდელობა. ადამიანებს, რომლებმაც ჩვენგან გადაიტანეს თავისი პროგრამები, დახმარება არ უნდა მიეცეთ-მეთქი. მაგრამ ბატონი ბიძინა მართლა ფილანტროპია. მითხრა, ეს ჩემი გადაწყვეტილებაა და მასთან ნურაფერს დააკავშირებო.

**— თქვენგან წავიდნენ და დახმარებას მაინც აძლევთ?**

— კი, კი! უფრო მეტიც, დახმარებას ვაძლევთ ისეთ ხალხსაც, ვინც ღიად იბრძვის ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ. ბატონ ბიძინასგან უფლება არ მაქვს, გვარები დავასახელო. ხელისუფლების ოდიოზურ ფიგურებსაც კი ეძლევათ დახმარება იმის გამო, რომ წარსულში ხელოვნებაში ან სპორტში ჰქონდათ დიდი დამსახურება.

**— და ისიც მიდის და იღებს...**

— იღებს, რას ჰქვია არ იღებს?

## ძალადობა

**— ახლა უშუალოდ ბატონ ბიძინაზე მინდა გკითხოთ. რა თქმა უნდა, მას გააზრებული აქვს, რასაც შეეჭიდა, მაგრამ რამდენად არის ბოლომდე წამსვლელი?**

— როგორ ფიქრობთ, ნოდარ ჯავახიშვილი აქ ხელფასისთვის ან თანამდებობისთვის მოვიდა? კარგად მიცნობ: დარწმუნებული რომ არ ვიყო, რომ ბოლომდე წამსვლელია, აქ მოვიდოდი? სააკაშვილი არ მომცემდა ხელფასს, თუ მას მივაშურებდი?

**— ადრე იცნობდით ბატონ ბიძინას?**

— არა. მხოლოდ ერთხელ მქონდა სატელეფონო საუბარი, ალბათ, 1997 წელს. რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს დღევანდელი საზოგადოებისთვის, ნოდარ ჯავახიშვილს იცნობენ ადამიანები, ეტყობა, რაღაცას ინახავენ მეხსიერებაში.

**— რა შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე ბატონ ბიძინა ივანიშვილის ამასწინანდელმა პრესკონფერეციამ?**

— გულახდილად გითხრათ, რასაკვირველია, უსიამოვნო იყო ის აჟიოტაჟი, ხმაური, უწესრიგობა, რაც ეგზალტირებულმა ჟურნალისტებმა ატეხეს. ბატონი ბიძინა ამ ყველაფერს მშვიდად შეხვდა და აბსოლუტურად დასაბუთებული პასუხი გასცა ყველა უსიამოვნო კითხვას. სამწუხაროდ, ქართულმა ჟურნალისტიკამ, მისმა ერთმა ნაწილმა, ტელეარხების ხელმძღვანელებმა კიდევ ერთხელ მოახდინეს საკუთარი თავის ლუსტრაცია. თუმცა, იქ იყვნენ სერიოზული ჟურნალისტებიც, რომლებიც არც მიკროფონთან ჭიდაობას იკადრებდნენ და არც წივილ-კივილს, ამიტომ მათ შეკითხვები ვერ დასვეს.

**— ხომ არ შეხვედრიხართ პრესკონფერენციის შემდეგ ბატონ ბიძინას?**

— დამთავრებისთანავე ვისაუბრეთ.

**— გულგატეხილი ხომ არ იყო?**

— პირიქით, იხუმრა კიდეც, მე მაქვს ზოგიერთი ისეთი ნაკლი, ვთქვათ, გრამატიკის მხრივ, რომლებსაც ვერ გამოვასწორებო.

**— ბატონო ნოდარ, კმაყოფილი ხართ იმ გუნდით, რომელიც დღესდღეობის მის გარშემო იკრიბება?**

— სიმართლე გითხრათ, შეფასებისთვის არც დრო მაქვს და არც ვიცი, ვინ არიან ისინი. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ბატონ ბიძინას არ შეეშლება. ძნელია დღეს საქართველოში უშეცდომოდ გუნდის შეკრება, მაგრამ შეცდომა რომც მოხდეს, დარწმუნებული ვარ, საბოლოო გადაწყვეტილებებზე ის გავლენას ვერ მოახდენს.

**გარეთ გამოსვლისას უფრო ყურადღებით დავაკვირდი „ქართუ ბანკთან" შეკრებილ ადამიანებს. როგორც წესი, ამხელა რიგი, რომელშიც საათობით გიხდება დგომა, ღლის და აღიზიანებს ხალხს. მაგრამ მე ვერ დავინახე მოღუშული, მოკინკლავე ადამიანები. ისინი იმით ძალამოცემულნი, რომ კარგ საქმეს აკეთებენ, ღიმილით, თავაზიანად ესაუბრებოდნენ ერთმანეთს. აშკარად ჩანდა, რომ თანამოაზრეები იყვნენ.**

**დედაქალაქის ამ პატარა მონაკვეთზე ადამიანთა თანხმობა მიღწეულია...**

**ალეკო ასლანიშვილი**

***P. S.* *ამ დილას ხმა აგორდა, თურმე „ქართუ ბანკი" ჯილდოს აძლევს იმ ადამიანებს, ვინც ანგარიშს გახსნის და ფულს შეიტანს „ქართუ ბანკშიო".***

***აშკარად მამალი ჭორი ჩანდა, მაგრამ მაინც დავურეკე ბატონ ნოდარ ჯავახიშვილს. გაცეცხლდა, ვინ გვიგონებს ასეთ სიბინძურესო.***

***მაინც მივედი „ქართუ ბანკთან". შეგროვილთაგან ერთ-ერთს გამოველაპარაკე. თბილისელი პენსიონერი გიორგი ნატროშვილი, აღმოჩნდა. 70 ლარი მქონდა გადანახული და ბანკში შემაქვს. ეს სიმბოლური ანაბარია, ამით ბატონ ბიძინა ივანიშვილს ვუჭერთ მხარს მეც და ყველა აქ მყოფიც. ჯილდო არ ხსენებულა, ვინ თქვა, საიდან მოჭორა? ეს რა ხალხია, კაცო! — გაუკვირდა ბატონ გიორგის.***

**ა.ა.**

## ხელს ნუ შევუშლით მაინც!

# შხუილ-შხუილით გადაფრენილი გედები და „დაჩაგრული" ჟურნალისტები,

## ანუ რატომ არის დღეს „მშვენიერი" არა ცხოვრება, არამედ სიცოცხლე

**თბილისში სტუმრად ჩამოსული მიხო და მარო ოპერისა და ბალეტის თეატრში „გედების ტბაზე" მიუპატიჟებიათ.**

**— მიხო, კი, მაგრამ აქ რომ ტბა არსად ჩანდა?! — წაუჩურჩულებია მაროს ქმრისთვის სპექტაკლის შემდეგ.**

**— ტბა არ ჩანდა, თორემ დედიშენისამ, გედებმა ხომ სულ შხუილ-შხუილით გადაგვიფრინეს თავზე, აი! — გაბრაზებია ცოლს მიხო.**

ეს ძველი ანეკდოტი ახლახან გამართულ ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენციაზე რამდენიმე ანგაჟირებული ტელეჟურნალისტი გოგონას საქციელმა და მისი დამთავრების შემდეგ მათ მიერ ტელეობიექტივის წინ ნათქვამმა გამახსენა.

საქციელზე ბევრს არაფერს ვიტყვი (იგი ისედაც მთელმა საქართველომ იხილაძ და მხოლოდ ერთი მათგანის ნათქვამს „განვჩხრეკ" „ლაითად" — **მიკროფონს იმიტომ არ ვთმობდი, რომ ჩემს შეკითხვაზე ივანიშვილის მიერ პასუხის გაცემისას გაჩენილი ახალი კითხვები დამესვაო.**

კი, მაგრამ, ჩემო კარგო იმანო, ბიძინა ივანიშვილმა თქვენ ხომ პრესკონფერენციაზე მიგიწვიათ და არა ინტერვიუზე? დარწმუნებული ვარ, კარგად იცით, მათ შორის რა სხვაობაცაა, მაგრამ მაინც შეგახსენებთ, რომ თუ ინტერვიუსას დიახაც შეიძლება და მისაღებიც არის შემხვედრი ან „ჩამჭრელი" კითხვების დასმა, პრესკონფერენციაზე ერთისგან „მრავალკითხვიანობა", რბილად რომ ვთქვათ, უტაქტობაა. ესეც არ იყოს, ამ ღონისძიების დაწყებამდეც ხომ ითქვა, ყოველი ჟურნალისტი მარტო ერთ კითხვას დასვამსო (თუმცა ამ „ჯენტლმენურ" შეთანხმებაზეც რომ არაფერი ვთქვათ, რა წესი და ზრდილობაა, სულ რამდენიმე ჟურნალისტმა იაქტიუროს, დარბაზში მყოფი თავისი ორასამდე კოლეგა კი მიკროფონს არც გააკაროს?ძ?

მაგრამ ეს უკვე მორალის კითხვას ჰგავს, რასაც სულაც არ ვაპირებ. სამაგიეროდ ერთი კითხვა მინდა დავუსვა იმ პრესკონფერენციაზე „დაზარალებულ" ჟურნალისტებს:

**იქნებ გაიხსენოთ პრეზიდენტობის რვა წლის განმავლობაში მიხეილ სააკაშვილის მიერ გამართული თუნდაც ერთი პრესკონფერენცია, რომელზეც ყოველგვარი შემოწმებისა და ლიმიტის გარეშე დაუშვეს ორასამდე ჟურნალისტი (თქვენ ხომ პრესკონფერენციაზეც და მის შემდეგაც დიდი ამბით აპროტესტებდით, რა მონდომებით შეგვამოწმა, ლამის გაგვჩხრიკა დაცვამო?), რომელთაგან, მიხოსი არ იყოს, შხუილ-შხუილით და შეუზღუდავად წამოსულ კითხვებს ამომწურავად უპასუხებდა ამ ღონისძიების ორგანიზატორი და ვასიკო ოდიშვილის სათაყვანო „მაღალი"?**



ძალიანაც რომ მოინდომოთ, ვერ გაიხსენებთ. ამიტომაც ტყუილად ნურც დაიძაბებით. მე კი ის სიტყვები მინდა შეგახსენოთ, რომლებიც იმ პრესკონფერენციაზე ბიძინა ივანიშვილმა ერთ თქვენგანს მისი ფორიაქ-წიოკობის გამო უთხრა:

**„ნუ ნერვიულობთ, ყველაფერი კარგად იქნება! ჩემი სურვილია, რომ თქვენ არ დაიძაბოთ, ამდენი შეკითხვა არ მომცეთ ერთდროულად, ასე არ მოგამზადონ, მეორედ რომ მოხვალთ, უფრო თავისუფალი იყოთ, დასვათ ის კითხვები, რაც თქვენ გაჩნიათ პირადად და არა ის, რასაც გიკვეთავენ. ჩემი მიზანია ნამდვილი დემოკრატიული გარემოს შექმნა, ნამდვილი თავისუფალი მედიის შექმნა და არა ის, რასაც „პირველი არხი", „რუსთავი-2" და „იმედი" წარმოადგენენ დღეს. თვალებში შევხედოთ ერთმანეთს და სიმართლე ვთქვათ. ამ კითხვებს ხომ თქვენ არ სვამთ? თქვენ უნდა დასვათ ის კითხვები, რაც პირადად თქვენ გაწუხებთ, თქვენგან მოდის და არა ის, რასაც ზემოდან გიკვეთავენ"...**

როგორც იტყვიან, ღმერთმაც უსმინოს, და თუ ყველაფერი ეს ახდა, მაშინ მართლაც შეგვეძლება იმის თქმა, რომ „ცხოვრება მშვენიერია", როგორც ამას ხალხზე გამარჯვებული ერთ-ერთი „რუსთავი-2"-ის პირმშვენიერი წამყვანი ნინო ქაჯაია გვიმტკიცებს.

**ისემც მაგას რა ვუთხარი და იმდენად დაუმშვენდეს ისედაც კოხტა ცხვირი, რამდენადაც ჩვენს დღევანდელ ყოფასა და ცხოვრებაზე ითქმის, მშვენიერიაო (ცხადია, ნაცმოძრაობელებსა და მათი ერთგულებისთვის გარჯადაფასებულებს არ ვგულისხმობ — იმათთვის მართლაც კია ცხოვრება საამურიც და მშვენიერიც!).**

მის მიერ დახატული ცხოვრების მშვენიერებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ, აი, სიცოცხლე კი მართლაც მშვენიერია.

იგი დასტურ მშვენიერია თუნდაც იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, **ჯერხნობით უფასო ჰაერს ვსუნთქავთ და, მეორეც — ის საშუალებას გვაძლევს, რომ ჩვენი ლამის გაძაღლებული ყოფა და ცხოვრება შეძლებისდაგვარად მაინც გავაკეთილშობილოთ და მართლაც მშვენიერი გავხადოთ.**

**აი, ამიტომაც არის მშვენიერი სიცოცხლე, და არა ცხოვრება, ჩემო „დაზარალებულო" კოლეგებო.**

**სწორედ ამიტომ, თუ არ დავეხმარებით, ხელს ნუ შევუშლით მაინც სიცოცხლეს ცხოვრების გამშვენიერებაში!**

**რუსლან რუსია**

## მოძრაობა

# ვაჟა ბერიძე: მოძრაობა „ქართული ოცნება" საქმიანობას ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგაც გააგრძელებს



**ბიძინა ივანიშვილი ახალ საზოგადოებრივ მოძრაობას — „ქართული ოცნება" აფუძნებს. ბიზნესმენის პრესსამდივნის ინფორმაციით, „ქართული ოცნების" პრეზენტაცია 25 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში იგეგმება. საზოგადოებრივ მოძრაობას თავად ბიძინა ივანიშვილი უხელმძღვანელებს. რატომ გადაწყვიტა ბიძინა ივანიშვილმა საზოგადოებრივი მოძრაობის ჩამოყალიბება და რა მიზანს ისახავს „ქართული ოცნება" — ამ კითხვებით "მედიანიუსმა" ბიზნესმენის მრჩეველთა საბჭოს წევრს, პოლიტოლოგ ვაჟა ბერიძეს მიმართა.**

— ამ მოძრაობის მიზანია, გამოკვეთოს ის ამოცანები და მიზნები, რითაც პოლიტიკურ სარბიელზე ბიძინა ივანიშვილი გამოვიდა. გარდა ამისა, მოძრაობის მიზანია საზოგადოებას ივანიშვილის მიზანდასახულობა გააცნოს. რამდენადაც, ყველაზე კარგი საშუალება ამისთვის არის ფართო საზოგადოების გაერთიანება თანამოაზრეობის პრინციპით, ამ ეტაპზე საზოგადოებრივი მოძრაობის ჩამოყალიბება მიზანშეწონილად ჩაითვალა, თავი რომ დავანებოთ იმ შემაფერხებელ გარემოებებს, რასაც ხელისუფლება ივანიშვილს უქმნის იმისთვის, რომ სრულფასოვნად ჩაებას ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. საზოგადოებრივი მოძრაობა ყველაზე კარგი საშუალებაა ამ ქვეყნის უკეთესი მომავლის რწმენით გაერთიანებული ადამიანების თავშეყრისთვის და სწორედ ამიტომ გადაწყდა საზოგადოებრივი მოძრაობის შექმნა. „ქართული ოცნება" 25 ნოემბერს დაფუძნდება და ბევრი რამ სწორედ ამ დღეს გაირკვევა.

**— ბატონო ვაჟა, რა კუთხით გეგმავს ივანიშვილის მოძრაობა საქმიანობას და საზოგადოების რომელ წრეებს დაეყრდნობა „ქართული ოცნება"?**

— ამ მოძრაობის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით ჩვენთვის საზოგადოების გრადაცია არ არსებობს. ქართული საზოგადოება ბიძინა ივანიშვილის თანამოაზრეების და თვითონ ბიზნესმენის მიერაც აღიქმება, როგორც ერთი მთლიანობა. მოძრაობისთვის არ არსებობს გარკვეული ჯგუფები, ანუ სოციუმი სეგმენტებად დაყოფილი არ არის. ყველა ადამიანი, ვინც მიიჩნევს, რომ ქვეყანა უნდა ვითარდებოდეს უფრო სწრაფად, მიზანმიმართულად და გონივრულად, უნდა გაერთიანდეს ივანიშვილის და მისი თანამოაზრეების ირგვლივ. რა თქმა უნდა, ივანიშვილს დიდი იმედი აქვს, რომ სამოქალაქო საზოგადოება, საზოგადოების აქტიური და ჯანსაღი ნაწილი თავგამოდებით და გულისხმიერებით მოეკიდება ახალი ძალის გამოჩენას იმ არენაზე, რომელსაც ბოლო დროს ჟანგი მოერია და ქმედუუნარო გახდა.

**— საზოგადოებრივი მოძრაობის ჩამოყალიბება ხომ არ გამოიწვია იმ ფაქტორმა, რომ ივანიშვილის მოქალაქეობასთან დაკავშირებით არსებული პრობლემების გამო პარტიის დაფუძნებას ვერ ახერხებს და იმ შემთხვევაში, თუ იგი პოლიტიკური ძალის შექმნას შეძლებს, დადგება თუ არა მოძრაობის საქმიანობის აუცილებლობა კითხვის ქვეშ?**

— მოძრაობა „ქართული ოცნება" ჩამოყალიბების პროცესშია, ამიტომ ამ ეტაპზე რაიმე შორს მიმავალი და ხანგრძლივ ისტორიულ პერსპექტივაზე გათვლილი სქემები არ არსებობს. მე ვიცი მხოლოდ ის, რომ ეს მოძრაობა იქნება ფართო, მოიცავს მოსახლეობის ყველა ფენას და არ შემოიფარგლება კონკრეტული ეტაპით. მე ვფიქრობ, რომ ეს მოძრაობა ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგაც გააგრძელებს არსებობას და იქნება საზოგადოებაში არსებული პოზიტიური ტენდენციების აქტიური მხარდამჭერი.

**— პირადად თქვენ და ივანიშვილის სხვა თანამოაზრეები, მათ შორის მრჩეველთა საბჭოს წევრები, თუ ჩაერთვებით მოძრაობის საქმიანობაში?**

— მე პირადად უეჭველად ვიქნები მოძრაობის წევრი. სხვა მრჩევლებთან დაკავშირებით ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ივანიშვილის მრჩეველთა საბჭოს სხვა წარმომადგენლებიც იქნებიან „ქართული ოცნების" აქტიური მხარდამჭერები.

## კუდქიცინათა გალერეა

**თავად თუ არ გაგიმჟღავნებიათ, უთუოდ ნანახი მაინც გექნებათ, როგორ ამჟღავნებენ ფოტოგრაფები გადაღებულ ფოტოფირს. სპეციალური ფხვნილია გამამჟღავნებელი, რომელიც წყალში იხსნება და შიგ ჩადებულ ფირზე ნელ-ნელა ჩნდება გამოსახულება. აი ზუსტად ასე გაამჟღავნა უკანასკნელ ხანს დრომ ბევრი ნაციონალთა მხარდამჭერი, რომელთაც საქიცინებლად სითბოსაგან უკანალებზე კუდები გამოუვიდათ და სხვათა, ანუ ნაციონალთა არამწყალობელთა, დახასიათებისას საკუთარ თავს იხასიათებენ, საკუთარ გაცრუკაცებულ თავს იმჟღავნებენ...**

# სირცხვილია, ქეთუსია, კარგი მხატვრის ქალიშვილი მაინც არ იყო!



სწორედაც გაცრუკაცებულ კუდქიცინათა არცთუ ღარიბ გალერეას „ამშვენებენ“ ამჟამინდელ ცალკარიან ქართულ პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის გამოჩენით გაიმედიანებული ხალხის თვალში ჩვენი ლობე-ყორეს მოდებული ვაიპარლამენტარები – კუბლაშვილები, წიკლაურები, გაბაშვილები, მინაშვილები, დარჩიაშვილები, ბალავაძეები, აგრეთვე ვინმე ინასარიძეები, თავხელიძეები (თუ თავთხელიძეები), ჩოლოყაშვილები... რა ვიცი, რომელი ერთი ჩამოვთვალო! ესენი თავიანთი ჭკუით პოლიტიკის სანგრებიდან უტევენ ბიძინა ივანიშვილს, ტყუილების ჭურვებს უშენენ, რაც თავადვე უბრუნდებათ და გულის ამრევად სასაცილო მდგომარეობაში ჩანან. დამთავრდა! განა არ იციან, რომ საბოლოოდ აეხადათ ფარდა, მაგრამ, ეტყობა, თბილმა და ტკბილმა, უზრუნველმა ცხოვრებამ გაზულუქებული ტვინები ისე დაუბნელათ, რომ საღად აზროვნების უნარი წაერთვათ.

ამათგან განსხვავებით გაზეთ „24 საათის“ რატომღაც Weekend-ად მონათლული ყოველკვირეულის (ქართული აღარ ეკარკება!) ვითომ „გულახდილად“ მოსაუბრე პუბლიცისტი, ცნობილი ქეთუსია იგნატოვას ქალი (არ დაგავიწყდეთ პრეზიდენტი სააკაშვილი თურმე მარტო ქეთუსიას ნაწერებს კითხულობს!) ხელოვნების ფლანგიდან უტევს ქართველ ქველმოქმედ მილიარდერს, რომლის არა მარტო „ინტელექტუალურ-გემოვნებითი“, არამედ „ფსიქოლოგიური პორტრეტის“ დახატვა განუზრახავს, სინამდვილეში კი თავისდა უნებურად თავისი, როგორც ხელისუფლების დაქირავებული და კუდის მქიცინებელი იდეოლოგის პორტრეტი გამოსდის.

საქართველო ზემდიდარი ადამიანებით დიდად განებივრებული არასდროს ყოფილაო. არც დღეს არისო. შესაბამისად, მდიდრების ფსიქოლოგიის ცოდნის დიდი გამოცდილებაც არა გვაქვსო. სულ ერთი მილიარდერი გვყავს და იმის შესახებაც ბევრი არაფერი ვიცითო. წლების მანძილზე იმალებოდა, სახეს არ აჩენდა, გვარს არ ასახელებდა და აი, ახლა მოგვევლინაო... თავისი განცხადებებით, ამბიციებით, ბრალდებებით, მხილებებით, შეთავაზებებით, დაპირებებით და... თანამედროვე ხელოვნების კოლექციითო. ოღონდ სანამ ქართველ მილიარდერს, როგორც ხელოვნების კოლექციონერს, შეეხებოდეს, ჯერ ფაშისტური გერმანიის ყველაზე გავლენიანი ფიგურის, რაიხსმარშალ გერმან გერინგის კოლექციონერობას იხსენებს (პირდაპირ საკვირველია, რატომ გაახსენა ამჟამინდელმა საქართველომ ფაშისტური გერმანია?!). იმასაც უყვარდა ხელოვნება, მაგრამ კაციჭამია იყოო. რაც შეეხება ქართველი მილიარდერის „არტგემოვნებას“, ანუ ხელოვნების სიყვარულს, ჩვენი „გულახდილი პუბლიცისტი“ საერთოდ (თუმცა შეფარვით) ეჭვქვეშ აყენებს. ერთი სული აქვს, სანამ გაიგებს, თუ რა მოტივები ამოძრავებდა ხელოვნების ნიმუშების შეძენისას. და უმალ ასეთ აზრს გვთავაზობს: თურმე პირადი სურვილითა და ემოციურად კი არ იძენდა, გამოცდილი არტდილერის რჩევით ყიდულობდა, რათა მერე ფასი აეწია და გადაეყიდაო. თუ ასე არ არის, რატომ უკიდია ლიჰტენშტაინი და არა უარჰოლიო, სად არის ჰოკნიო, რატომ არ ამისრულა ოცნება (SIC!) და ერთ-ერთი ვერმეერი რატომ არ შეუძინა საკუთარ ქვეყანასო, თუ მართლა ხელოვნება უყვარს, რატომ არა აქვს თავის კოლექციაში ხმაურიანად ცნობილი ფრენსის ბეკონიო, მაშინ ბევრად უკეთ დავინახავდი ჩემი გმირი პრეზიდენტისთვის ძალაუფლების წასართმევად მოსული ამ ქართველი მილიარდერის პორტრეტს, ვიდრე ეს დამანახვეს **„ანთაძის ან ჟიჟილაშვილის, ცოტა არ იყოს, შეშინებულ-მაამებლურ-აღტაცებულ-გალოკილ-გაწერილმა და მაინც დაბნეულმა თუ გაბნეულმა ინტერვიუებმაო“..** აი ასეთი უგემოვნო კაცის არც ქველმოქმედება მწამს, არც ხელოვნების სიყვარულიო. მერე ენდი უორჰოლის ერთ-ერთ აზრს პირდაპირ ინგლისურად სტყორცნის ქართველ მილიარდერს, იზიარებ თუ არაო და ისევ გერინგის სახელს იშველიებს... არ ვიცი, რა ასოციაციებმა გაუჩინეს წერილის თავში ნიურნბერგის სასამართლო პროცესი და ბოლოში ყველა დროის ადამიანთათვის სამაგალითოდ გასამართლებული ფაშისტური იდეოლოგია და რაიხსმარშალი გერინგი...

მეც მინდა გულახდილი ვიყო და გულახდილად ვუთხრა ამ უიკენდელ ვაიპუბლიცისტს: შე კარგი მხატვრის სათავისო პოლიტიკის ცხენზე შემომჯდარო ქალიშვილო, ნუთუ რვა გრძელი წელიწადი საკმარისი არ არის იმისათვის, რომ ბოლოს და ბოლოს მივიდეთ მართლაც დემოკრატიულ, სამართლიან არჩევნებამდე, და ხელისუფლებაში ის ადამიანები ვიხილოთ, ვისაც ხალხი აირჩევს? აგრერიგად რატომ გაშფოთებთ ამ ქართველი მილიარდერის გამოჩენა? ხომ ხედავთ, რომ საუგოს საბაბს არ გაძლევთ? ნუთუ ვერ ხვდებით, რომ სამარცხვინოდ ლუღლუღებთ? ბევრად აჯობებს, თუ ყველა თქვენ-თქვენს არტგემოვნებას მიხედავთ. ისე ძალიან მაფიქრებს, რატომ გახსენებთ თავს ასე ხშირად ნიურნბერგის სასამართლო პროცესი და გერინგი? იქნებ უფრო მეტი გონიერება გამოგეჩინათ, ერთად დამსხდარიყავით პრეზიდენტ სააკაშვილის კუდქიცინა მხარდამჭერნი, ისინიც დაგერწმუნებინათ და საკუთარი თავიც, რა უფრო აჯობებდა თქვენი ხვალინდელი დღისთვის. თუ ჩემი ნათქვამი არ გჯერათ, უბრალოდ ჩაიარეთ თუნდაც „ქართუ ბანკთან“ და საკუთარი თვალებით დაინახავთ, რომ ის ოხერი ნიურნბერგის პროცესი უკვე დაწყებულია... ასე რომ, ახლა სწორი დასკვნების გამოტანას სამჭკუაშვილობა სულაც არ სჭირდება.



რაც შეეხება ვერმეერს, შენგან გემოვნებადაწუნებული ქართველი მილიარდერი აუცილებლად აგისრულებს ოცნებას და ერთ-ორს კი არა, ბევრად მეტს შეუძენს საკუთარ ქვეყანას. და არა მარტო ვერმეერს! ნუთუ მართლა არ გინდა, რომ ყველანი ერთად მოვესწროთ იმ დღეს?

იყავი ნამდვილად გულახდილი. ცრუ გულახდილობა ნიურნბერგისკენ მიდის...

დასასრულ, შენსავე კითხვას შეგიბრუნებ: უფრო გაშინებს ბოსხი, კერძოდ, იმისი „შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა“, თუ გაფიქრებს? მე, მაგალითად, არა მარტო ჩემდათავად, არამედ თქვენ მაგივრადაც მაფიქრებს...

**გურამ წიკლაური**

***P. S.*** ***თუ ასე გაგრძელდა, ერთსულოვნების თვალსაზრისით, ხალხის ერთ მუშტად შეკვრა, ბოლოს და ბოლოს, ალბათ,უკვე არჩევნებისთვის, ერთ მხარეს აღმოჩნდება თითქმის მთელი საქართველო ბიძინა ივანიშვილთან ერთად, ხოლო მეორე მხარეს მიხეილ სააკაშვილი უკვე კარგა გვარიანად შეთხელებულ თავის ნაციონალურ პარტიასთან ერთად. ეს უკეთეს შემთხვევაში. ხოლო ნაციონალებისთვის უარეს შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ ამ პარტიაშიც არიან გონიერი და შორსმხედველი ადამიანები, ვაითუ ამჟამინდელი პრეზიდენტი სულაც მარტო დარჩეს დანარჩენი საქართველოს პირისპირ. საქმეს ჯერჯერობით ასეთი პირი უჩანს... ქეთუსიამ ანტიივანიშვილური შეტევა Weekend-ის ბოლო, 4 ნოემბრის, ნომერშიც განაგრძო. ივანიშვილის პრესკონფერენციას „ვერშემდგარი ღია გაკვეთილი“ და „ცუდად შესრულებული შოუ“ უწოდა და ქართველი მილიარდერი სააკაშვილის მიმართ სიძულვილსა და „კოლეგიალურ შურშიც“ კი დაადანაშაულა. გესმით? ივანიშვილს თურმე სააკაშვილის სიმდიდრე და კაცურკაცობა შურს! სიძულვილით და შურით კი დემოკრატია არ მყარდებაო, აფორიზმს გვთავაზობს ხელისუფლების წინაშე ეს კუდმოქიცინე ბანოვანი, რომელსაც ბიძინა ივანიშვილის „არშემდგარმა და ჩაშლილმა ღია გაკვეთილმა“ თურმე კიდევ ის დაანახვა, რომ „ქართველი ხალხი მართლაც გონიერია“. ქართველი ხალხი რომ გონიერია, უიკენდელო ქეთუსია, ეს აქამდეც უნდა გცოდნოდა და თუ ეს მხოლოდ ახლა დაინახე, თუნდაც მარტო ამიტომ სულაც არ ჩაშლილა და ნამდვილად შემდგარა 1 ნოემბრის პრესკონფერენცია-ღია გაკვეთილი. ხოლო გონიერებას რაც შეეხება, ქართველი ხალხი სწორედ ამ გონიერების წყალობით ამბობს უარს ამჟამინდელ ხელისუფლებაზე და უკეთესი მომავლისკენ იყურება. თქვენ რა, პრივატიზებული ხომ არა გაქვთ საქართველო?! როდემდე უნდა ებღაუჭოთ?! ხალხი გონიერი მარტო თქვენთვის კი არ არის!.. ხალხის გონიერებას ტყუილად ნუ ექიცინებით...ისე, დასტურ სწორს ამბობ, რომ ცხრა წელიწადია, რაც ამ გაზეთში წერ, კვირა არ გამოგიტოვებია და მკითხველს იქნებ „მცდარ, სულელურ, ზედაპირულ, დილეტანტურ ან უბრალოდ ქალურ, მაგრამ გულახდილ აზრს“ უზიარებ.***

***ბარაქალა ამ გულახდილობისთვის!..***

***გ. წ.***

## წკეპლიკა

**„გუშღამ“ ჩვენი დაუცხრომელი მოგზაური, მუხლმოუღლელი, მუხლჩაუხრელი პრეზიდენტი (თუმცა, კაცმა რომ თქვას, იმის მუხლებს არც ისეთი ჯაფა ადგას ამ მოგზაურობებისას – ტრანსპორტის ყველა საშუალება მიხეილ-ბატონის ხელში არაა?..) ყვარლიდანაც გაგვეჩითა ერთ-ერთ მიშაარხზე ორი მართლაც ღირსშესანიშნავი ამბის გარჩევა-გაპიარებით: ერთი – ჰონკონგში ქართული ღვინოების დიდი წარმატება და მეორე – სამ ცნობილ დერეფანში (ჩამოთვლას აღარ შევუდგები) საერთაშორისო მონიტორინგზე რუსეთის დათანხმების მიღწევა (ისე, პირველს რაც შეეხება, მე რომ მეგონა, ჰონკონგი წყალში იძირება და წყალსაც წაუღია-მეთქი, არც ისე ყოფილა საქმე: თურმე ღვინოებსაც წაუღია...).**

# ასე მალე ნუ „ადაფდაფდებით“...

რა თქმა უნდა, ქართული მარკის ღვინოთაგან ამდენი და თანაც სამივე სინჯის მედლის მოპოვება დიახაც, რომ ფრიად სასიხარულო და საამაყოა, მაგრამ ჩემი მოკლე ჭკუით, მაინცდამაინც პრეზიდენტისგან უნდა თქმა?.. ქვეყნის უმაღლესი პირი ასე ყველაფერზე სალაპარაკოდ უნდა იცლიდეს? ჰონკონგში დაჯილდოებული ღვინოების „მოხილვას“ სოფლის მეურნეობის მინისტრი, თუნდაც ახლადდანიშნული და სპეციალობით მედიკოსი, ვერ „მოერეოდა“?..

გაგიგონიათ? ჩვენმა უნივესალურმა ბელადმა იმ სამი დერეფნისთვისაც მოიცალა, გეოგრაფიის მასწავლებლივით რუკასთან მივიდა და საჩვენებელი ჯოხით მოხაზვა-დახასიათება დაუწყო (ყოჩაღ, ყვარლელებო, ის ვეებერთელა რუკა რომ ასე სახელდახელოდ და სავსელედ, თანაც წინდახედულად გაგიმზადებიათ)... ო, პიარო, ძალსა შენსა მიშა კვლავ და კვლავ ჰმონებდეს...

გავბედავ და, ერთი შენიშვნის გამოთქმის ნებას კი მივცემ თავს: იმ სამ დერეფანსა და ჟენევის მოლაპარაკებასთან დაკავშირებით უკვე ატრაბახდნენ ქართველი მაღალჩინოსნები ყველა მიშაარხზე (მე შენ გეტყვი და, ცოტა მოითვლება!), ისევ განაგრძობენ რუსეთის ლანძღვასა და ნიშნისგებას: ხო გაიძულეთ დათმობაზე წასვლა, ხო დაგახევინეთ უკანო...

ჭკუით, ბაბაიებო, ჭკუით, ნუ იჩქარებთ დაფდაფების შემოკვრას: ჯერ ერთი, საკითხავია, თუ სინამდვილეში რანაირად წარიმართება მიღწეული შეთანხმების ხორცშესხმა თუ რეალიზება, დრო სჭირდება ამას; მეორეც, მაგ თქვენს კომენტარებს ხომ ჩრდილოელი მეზობლებიც „ჩაიკაკლავენ“ და ვაითუ ჩვეულ ოფოფებს მოუხმობენ დაააფრენენ კიდევაც; რა, სიტყვის გატეხა, პირობის დარღვევა, შეთახმების ჩაშლა თქვენზე ნაკლებად ეხერხებათ? 2008 წლის აგვისტოს შეთანხმება გაიხსენეთ...

ჭკუით-მეთქი, ბაბაიებო: შედეგი, საქმე დავინახოთ ჯერ და კვეხნასა და დაფდაფების კვრას მერეც მოვასწრებთ, შესაბამისი გამოცდილება თავსაყრელი არა გვაქვს, თუ რა?..

ასე რომ, ჩვენო ძვირფასო მაღალჩინოსნებო, ნუ გაიხდით საწითელხიდოდ საქმეს; და კიდევ – დიპლომატიის გაკვეთილებს მე რატომ უნდა მატარებინებდეთ?!..

**ბერდია ბედოიძე**

# ინკლუზიური საუბარი ინკლუზიური განათლების შესახებ

**ამას წინათ ქართული ტელევიზიის ერთ-ერთ არხზე საინფორმაციო გადაცემაში „აღმაშფოთებელი“ ფაქტი გააჟღერეს. სკოლაში სასწავლო პროცესის შემოწმებისას გაურკვევიათ, რომ მავან უფროსკლასელს მიახლოებითი წარმოდგენაც კი არ ჰქონია იმაზე, რისი ცოდნაც სასწავლო პროგრამების მიხედვით მოეთხოვებოდათ მის თანატოლებს.**

სატელევიზიო გადაცემის ავტორების დასკვნა ასეთი იყო: ეს მოსწავლე რომ უნარშეზღუდულია, აშკარაა, მაგრამ ნუთუ ასეთებისათვის სპეციალური სკოლა არ არსებობს, მასობრივ სკოლაში რომ არ შეეყვანათო იგი.

რა მართლები და რა არაინფორმირებულები იყვნენ გადაცემის ავტორები საქართველოს განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესების თაობაზე. მათ არ იცოდნენ, რომ ჩვენს სკოლებში უკვე დამკვიდრდა ინკლუზიური განათლება...

რამდენადაც ვიცი, ამ თემას შემდგომი გაგრძელება არ ჰქონია. ვისაც ეს ხელეწიფებოდა, ტელეჟურნალისტები, ალბათ, საქმის კურსში ჩააყენა და იმათაც, როგორც ჩანს, დაირცხვინეს თავიანთი არაკვალიფიციურობის გამო და შემდგომში ხმა აღარ ამოუღიათ.

ბოლოს და ბოლოს, რა არის ეს ინკლუზიური განათლება, რომლის დანერგვის შემდეგ, თურმე, ცივილიზებული სამყაროს წევრები გავმხდარვართ.

„ინკლუზიური“ (inclusitძ ფრანგული სიტყვაა და, პირდაპირი აზრით, „ჩართულობას“ ნიშნავს. განათლების სისტემასთან მიმართებაში იგი გულისხმობს ინტელექტუალური და ფიზიკური განვითარების ნებისმიერი დონის მოზარდის ერთად სწავლებას (ერთიან სასწავლო პროცესში ჩართვასძ, რამაც უნდა უზრუნველყოს, თურმე ყველა მოზარდის თანაბრად ინტეგრირება სოციალურ გარემოში. ამ იდეის ავტორთა აზრით, ეს არის უზადო ჰუმანიზმის გამოვლინება.

როგორო, — მეტყვის კირკიტა ოპონენტი, — თქვენ მიგაჩნიათ, რომ უნარშეზღუდული ბავშვები არ უნდა სწავლობდნენ მასობრივ ანუ საჯარო სკოლაშიო (ალბათ ჩემი მსჯელობის ირონიანარევი ტონით გაღიზიანებულიძ.

არა, ჩემო კეთილო, მე ეგრე არ ვფიქრობ, იმიტომ, რომ საკითხი მაგვარად არასოდეს დამდგარა განათლების სისტემის წინაშე.

უნარშეზღუდულობა ბევრგვარია. უნარშეზღუდულია კოჭლიც, კუზიანიც, ბლუც, უსინათლოც... არც ერთი მათგანის ნაკლი სწავლის შესაძლებლობაზე გავლენას არ ახდენს. ვერავინ იტყვის, ეს ბავშვი კოჭლია და მათემატიკას იმიტომ ვერ სწავლობსო. ვერ იტყვის იმიტომ, რომ სწავლაში წარმატება ფეხის სიგრძეზე კი არა, ინტელექტის მდგომარეობაზეა დამოკიდებული. ინტელექტი კი ზემოჩამოთვლილ უნარშეზღუდულებს შესაძლოა აბსოლუტურად ნორმალური ჰქონდეთ. მეტიც. ისეც შეიძლება, რომ კოჭლი და უსინათლო გენიოსები იყვნენ, მათი ჯანმრთელი თანაკლასელები კი საშუალო ნიჭიერებას ვერ გასცდნენ. ამიტომ, არც არასოდეს დამდგარა საკითხი: ამგვარმა უნარშეზღუდულებმა მასობრივ (ანუ საჯარო!ძ სკოლაში ისწავლონ თუ არაო.



სხვა საქმეა ყრუ-მუნჯთა და გონებაჩამორჩენილთა სწავლება.

ყრუ-მუნჯს თანშობილი ინტელექტუალური შესაძლებლობები თუმცა ჩვეულებრივი ბავშვივით აქვს, მაგრამ იგი ძნელად ვითარდება სიყრუისა და მისგან გამომდინარე სიმუნჯის გამო. იგი იმ ინფორმაციის დიდ ნაწილს ვერ ღებულობს, რომლებსაც განვითარებული სმენითი რეცეპტორები აქვთ. ამავე დროს, სამეტყველო კომუნიკაციის არარსებობა (ან ერთობ შეზღუდულობაძ დიდად აფერხებს მათ გონებრივ განვითარებას.

მეცნიერებამ თუ მიაღწია იმას, რომ სპეციალური აპარატების საშუალებით ბგერის გათვალსაჩინოება შეძლო, მაშინ ყრუ-მუნჯებსაც ისევე შეეძლებათ მასობრივ სკოლაში სწავლა, როგორც სხვა უნარშეზღუდულ მათ თანატოლებს.

სრულიად განსხვავებულია გონებაშეზღუდულებთან დამოკიდებულება.

გონებაშეზღუდულობა ერთგვაროვანი არ არის. საერთოდ, გონებაშეზღუდულად ითვლება ის, ვისი ინტელექტუალური შესაძლებლობანი ნორმის ქვევით არის. ნორმალურად კი ისეთი ინტელექტუალური შესაძლებლობებია მიჩნეული, რაც ადამიანთა უდიდეს უმრავლესობას აქვს. (ყველას მოგეხსენებათ, რომ ინტელექტს ვუწოდებთ სწავლის, ცოდნის მოპოვების უნარს, ამიტომ, ბუნებრივია, ასეთი უნარ-შესაძლებლობანი შეიძლება იყოს არა მარტო ნორმაზე დაბალი, არამედ მაღალიც - ტალანტი და გენიოსი. მოგეცათ ლხენა, კარგია, თუ ასეთები ბევრნი იქნებიან, მაშინ პედაგოგიური პრობლემებიც ცოტა გვექნებაძ.

ნორმაზე დაბალი ინტელექტიც არ არის ერთგვაროვანი. ნორმასთან ყველაზე ახლოა დებილობა. დებილი ნორმალური ინტელექტის მქონესაგან მხოლოდ ერთი რამით განსხვავდება - მას უჭირს ან არ შეუძლია ლოგიკური ოპერაციების შესრულება ანუ შემოქმედებითი საქმიანობა. სხვა მხრივ იგი შეიძლება ნორმალურზე უფრო განვითარებულ ფსიქიკურ უნარებს ფლობდეს, მაგალითად, მეხსიერებას. ამიტომ მისი სწავლება იმ დონეზეა შესაძლებელი, რომ მან გარკვეული პროფესიული ცოდნის ათვისება შეძლოს. იმ საპროგრამო მასალის ათვისება (თანაც იმ რეგლამენტითძ, რაც ჩვეულებრივი სკოლის მოსწავლეს მოეთხოვება, მისთვის სრულიად შეუძლებელია. ამიტომ, ასეთი ინტელექტუალური შესაძლებლობის ბავშვს თუ მასობრივ სკოლაში დავსვამთ, იგი უიმედოდ ჩამორჩება და იმ ცოდნასაც ვერ მიიღებს, რისი მიღებაც სპეციალურად მისნაირებისათვის შედგენილი პროგრამებითა და საგანგებოდ შემუშავებული რეჟიმის პირობებში შეეძლო. აბა, ერთი ამიხსნას ვინმემ, ასეთ ვითარებაში ამ ტიპის უნარშეზღუდულის სოციალურ გარემოში ადაპტაცია წარმატებით როგორ უნდა განხორციელდეს. ბავშვი რომ მიხვდება, თანატოლებთან შედარებით არანაირი შანსი არ მაქვსო სწავლაში, არასრულფასოვნების განცდა არ დაეუფლება? არადა, სპეციალურ სკოლაში მას შეეძლო ბევრი წარმატება მოეპოვებინა. წარმატების ეფექტს კი პიროვნების სოციალურ განვითარებაში უდიდესი და წარუვალი მნიშვნელობა აქვს.

რაც შეეხება დებილებზე უფრო დაბალ საფეხურზე მყოფი მოზარდების — იმბეცილებისა და იდიოტების სწავლებაზე ჭკუათმყოფელი ადამიანები არ მსჯელობენ.

ჰუმანიზმი ის კი არ არის, ავადმყოფს, ბავშვი იქნება თუ დიდი, მწარე წამალი არ დავალევინოთ, აქაო და უსიამოვნო გემოს დაუტოვებსო პირში, არამედ ის, რომ ყველას თავისი შესაძლებლობების შესაბამისი წარმატების შანსი მივცეთ.

ახლა, ერთი ისიც ვიკითხოთ, რა თეორიულ ბაზას, რა რეკომენდაციებსა და სტრატეგიებს (და არა მეთოდებს!ძ ეფუძნება ინკლუზიური განათლება ჩვენში?

2004 წელს გამოიცა სარესურსო წიგნი პედაგოგებისათვის „ინკლუზიური განათლება“.

ვფიქრობ, ინტერესმოკლებული არ იქნება ამ წიგნის ერთობ მოკლე წინასიტყვაობის გაცნობა:

**„წინასიტყვაობა**

ეს მასალა მრავალი ადამიანის შრომის ნაყოფია. ინიციატივა ეკუთვნის პატარა ჯგუფს, რომელიც დროთა განმავლობაში გაიზარდა და საერთო ინტერესების მქონე უფრო და უფრო მეტი ადამიანი გააერთიანა. თანდათანობით გამოიკვეთა, დაკონკრეტდა პროექტის ცენტრალური სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავს პედაგოგთა წვრთნას კლასში პრობლემის მქონე ბავშვებთან მუშაობის თვალსაზრისით.

დღეს ეს მასალა ბევრ ენაზე ითარგმნა და მრავალ ქვეყანაში წარმატებით სარგებლობს.

გთავაზობთ სარესურსო წიგნს მასწავლებელთათვის, რომელიც ინკლუზიური განათლების პრობლემებს ეძღვნება. სახელმძღვანელო მასწავლებელთათვის ადაპტირებულია ქართულ სინამდვილესთან.

**ლენა სალე**
**UNESCO“**

მართალი გითხრათ, არ ვიცი ვინ ბრძანდება ლენა სალე, მაგრამ რახან იუნესკოს სახელით გველაპარაკება, ალბათ, მნიშვნელოვანი პერსონაა. თქვენ თუ პოზიტიური აზრი გამოიტანეთ ამ ე. წ. „წინასიტყვაობიდან“, მე გაგაცნობთ იმ საერთაშორისო ჯგუფს, რომელსაც ამ წიგნის შინაარსზე უმუშავია. წინასწარ უნდა გითხრათ, რომ ამ ჯგუფის წევრ მეცნიერთა სახელები არც მე და არც იმათ, ვისთანაც საუბარი მქონდა, დღემდე არ გაუგონიათ. რა თქმა უნდა, იმ ოთხი ქართველის გამოკლებით, რომლებსაც სამსახურებრივი თანამშრომლობით ვიცნობთ. მაშ, აი, ისინი: ანუპამ აჰუჯა (ინდოეთიძ, მენ აინსკოუ (გაერთიანებული სამეფოძ, სინთია დუკი (ჩილეძ, ჯერარდო ეჩეითა (ესპანეთიძ, ჰალა იბრაჰიმი (იორდანიაძ, ნ. კ. ჯანგირა (ინდოეთიძ, მენას მაჩავირა (ზიმბაბვეძ, ჩიპო მარირა (ზიმბაბვეძ, ჩარლზ მიფსუდი (მალტაძ, ჯოსეფ მიფსუდი (მალტაძ, სოფია ნგაივა (კენიაძ, უინსტონ რამპაულ (კანადაძ, ქრის როუზი (კანადაძ, ნინა სოტორიო (ესპანეთიძ, დანიელ ვან შტენლანდტი (ჩილეძ, გრეის უანგძომბე (კენიაძ, ზუჰაირ ზაკარი (იორდანიაძ და ოთხი ქართველი ქალბატონი.

წიგნის რედაქტორია ირინე ჯალაღონია.

აი, ასეა საქმე ინკლუზიური განათლების რეფორმატორულ გაგებასთან დაკავშირებით.

ისე, უმადურობა კია, უცხო ქვეყნის მეცნიერები ანუპამ აჰუჯა თუ სინთია დუკი, ჰალა იბრაჰიმი თუ მენას მაჩავირა, რომ აღარაფერი ვთქვა ჩიპო მარირაზე, მსოფლიოში (მათ შორის ჩვენშიცძ განათლების რაციონალური ორგანიზაციისათვის იღვწიან და მე კი მადლობის მაგივრად რაღაც წვრილმანს ვუკირკიტებ. ამის გამო პატიებას ვთხოვ მათაც და ჩვენი გაზეთის მკითხველსაც.

**ზურაბ ცუცქირიძე**

## ჩვენი პრესდაიჯესტი

# გუშინდელი გაზეთებიდან

### შაშკინი პედაგოგებისთვის ახალ სამუშაო გრაფიკს ამუშავებს?

განათლების სამინისტრო სკოლების ოპტიმიზაცია-ლიკვიდაციის პროცესის შემდეგ, რომელსაც ათასობით მასწავლებლის სამსახურიდან განთავისუფლება მოჰყვა, პედაგოგებს მორიგ „სიურპრიზს“ უმზადებს. მასწავლებლებს სკოლაში ყოფნა, შესაძლოა, გაკვეთილების დასრულების შემდეგაც მოუწიოთ.

**„რეზონანსი“**



### ცემით კიდევ ერთი პატიმარი მოკლეს

პატიმრებს კვლავ სასტიკად უსწორდებიან. ამდენ ცემა-წამებას ყველა როდი უძლებს. რამდენიმე დღის წინათ ზუგდიდში კიდევ ერთი პატიმარი მოკლეს ცემით.

**„ახალი თაობა“**

### ჭორვილაში ხელმოწერების შეგროვება დაიწყო

საჩხერის რაიონის სოფელ ჭორვილას პედაგოგიურმა კოლექტივმა და ამავე სოფლის რიტუალების სასახლის თანამშრომლებმა ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვება დაიწყო.

**„ვერსია“**

## ინფორმაცია

### სოსო ცისკარიშვილი - რუსეთს მსო-ში თამადობის პრეტენზია ექნება

**პოლიტოლოგ სოსო ცისკარიშვილის აზრით, რუსეთი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში რიგითი წევრის სტატუსით არ დაკმაყოფილდება.**

„რუსეთი სავაჭრო ორგანიზაციაში არ შედის მხოლოდ როგორც რიგითი წევრი. მას იმ სუფრაზე თამადობის პრეტენზია ექნება, საერთაშორისო ორგანიზაციებს კი მოსკოვის მარტივად მოთვინიერება არ ძალუძთ. ამიტომ სირთულეები ჯერ კიდევ წინ გვაქვს, — განაცხადა ცისკარიშვილმა.

ამასთან, ექსპერტი სკეპტიკურად უყურებს საზღვრებზე ელექტრონული მონიტორინგის იდეას და არ გამორიცხავს, რომ ამ მექანიზმით უკანონო ტვირთბრუნვის გაკონტროლება ვერ მოხერხდება.

— ვფიქრობ, ეშმაკები შეთანხმების დეტალებში იმალება. ელექტრონული მეთოდებით მონიტორინგზეა საუბარი, მაგრამ, იმ ვითარებაში, როცა დედამიწა ატომური ელექტროსადგურების უსაფრთხოებით დაცული არ არის, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ელექტრონულ ტექნიკას ხან რა გაუფუჭდება და ხან — რა. მისი ფუნქციონირება შეკეთების მიზნით 2-3 საათით შეწყდება, ეს დრო კი სამხედრო ტვირთების გადაადგილებისთვის სრულიად საკმარისია, — განმარტა ცისკარიშვილმა.

**ინტერპრესი**



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №181



# მუზეუმის მუშაკთა ციმბირული ოდისეა

***„ქ. თბილისის 1 მაისის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უბნის ინსპექტორმა მილიციის კაპიტანმა ნ. ქუფრაშვილმა ამავე განყოფილების უბნის ინსპექტორის თ. თვაურის მონაწილეობით შევადგინე აღნიშნული ოქმი შემდეგზე: გამოვცხადდით მოქ. გაიოზ ზენოს ძე კორძაძის ბინაში, მცხოვრებ მირცხულავას ქ. №6, ბინა №1, რათა აღნიშნული მოქალაქე შეხვედრილიყო რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელებს, რაზედაც მოქ. კორძაძე გაიოზმა უარი განაცხადა, თქვა, რომ მას არ მიუღია რაიმე ოფიციალური გამოძახება და საჭიროდ არ მიაჩნია ასეთი შეხვედრა. ასევე მოქალაქე კორძაძემ უარი განაცხადა, რომ იგი არავითარ ხელწერილს არ მისცემს არავის დემონსტრაციაში მონაწილეობის მიღების თაობაზე. აღნიშნულზე შედგა ოქმი და მის სისწორეს ვადასტურებთ ხელის მოწერით...“***

...ქვემორე ხელისმომწერნი განსაკუთრებული ყურადღებით აკვირდებოდნენ „მოქალაქე გაიოზ კორძაძის“ გადაადგილების ადგილებს და ცდილობდნენ წერილობით საბუთებსაც გასცნობოდნენ. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც იგი, ქართული ლიტერტურის მუზეუმის იკონოგრაფიული განყოფილების გამგე და იმავე მუზეუმის სწავლული მდივანი ქალბატონი ციცი ბუქურაული დაპატიმრებულ მერაბ კოსტავას სანახავად ციმბირში გაემგზავრნენ... ამ გარემოებას, როგორც მამხილებელი საბუთები, თან ახლდა ბატონი გიზო კორძაძის მიერ შედგენილი პროკლამაციები, ეროვნულ საკითხებზე გაკეთებული განცხადებები და მუხლი, რომელიც უშიშროებამ წაუყენა: **„ანტისაბჭოთა პროპაგანდა“.**

ფრაგმენტები ბატონ გიზო კორძაძის ჩანაწერებიდან:

*...მოვიგონებ მერაბთან ურთიერთობის ერთ ეპიზოდს. სამწლიანი პატიმრობის შემდეგ იგი ირკუტსკის ოლქში, ტაიშეტის რაიონის სოფელ კვიტოკში იხდიდა სასჯელს, ე. წ. „თავისუფალ გადასახლებაში“ იმყოფებოდა.*

*1980 წლის 7 სექტემბერს გავემგზავრეთ, ჯერ თვითმფრინავით უნდა ჩავფრენილიყავით ნოვოსიბირსკში, იქიდან მატარებლით უნდა გვევლო ტაიშეტამდე, შემდეგ კი მანქანით მიგვეღწია კვიტოკამდე.*

*თვითმფრინავში შუახნის რუსი ქალი გავიცანით. როცა ჩვენი მგზავრობის მარშრუტი შეიტყო, გვითხრა, თუ ამ საღამოს ვერ მოახერხეთ ტაიშეტში წასვლა, მომაკითხეთ, დაგაბინავებთ, აქ სასტუმროში ადგილის შოვნა ძალზე ძნელია, თბილისური „მაღარიჩები“ ვერ გიშველითო (ტელეფონის ნომერი ჩაგვაწერინა)...*

*პირქუშად, ნაღვლიანად გამოიმზირებოდა ნოვოსიბირსკი, რომელსაც მოღრუბლული ცა დასწოლოდა თავზე. რკინიგზის სადგური ძალზე უსიამო შთაბეჭდილებას ტოვებდა. სიბინძურე და უწესრიგობა სუფევდა ყველგან. აქეთ-იქეთ მრავლად დაეხეტებოდნენ არყით გალეშილი მაწანწალები, რომელთაც იქაური ჟარგონით „ბიჩებს“ უწოდებდნენ. მილიციელი ხალხს აფრთხილებდა მეგაფონით, ბარგს გაუფრთხილდითო.*

*კუთხეში ერთი დედაბერი იჯდა. გვერდით ბრინჯით, ბურღულით, შაქრით, მარილით, ორცხობილით და ათასგვარი სანოვაგით თუ წვრილმანი ნივთებით გავსებული ტომსიკები ეწყო. თვალებს საცოდავად აცეცებდა აქეთ-იქით, არაფერი მომპარონო. შეგვებრალა და დახმარება შევთავაზეთ.*

*– შორეულ სოფელში მივემგზავრები, ჩვენთან არაფერი იშოვება და მთელი შემოდგომის და ზამთრის მარაგი მიმაქვსო... ყინვების დროს მგზავრობა შეუძლებელია. უკვე მთელი დღე-ღამეა მატარებელს ველოდები და ვინ იცის როდის მოვაო, – შემოგვჩივლა.*

*მერმე სხვებმაც გვითხრეს, ასეთი რამ აქ ჩვეულებრივი ამბავი ყოფილა.*

*ჩვენი მატარებელი განრიგით საღამოს 6 საათზე უნდა ჩამომდგარიყო. გამოგვიცხადეს აგვიანებს და ღამით, 12 საათზე ჩამოდგებაო. 12 საათმა რომ დაჰკრა, მოგვახსენეს: დილის 10 საათზე აუცილებლად გაგამგზავრებთო.*

*ნაცნობის შეწუხებას მოვერიდეთ და სასტუმრო „ობს“ მივაკითხეთ. რაღა თქმა უნდა, უარი გვითხრეს, მაგრამ საბედნიეროდ ჩვენი ნოვოსიბირსკელი ქალბატონი მართალი არ გამოდგა. ქრთამმა გასჭრა. 20 მანეთად მორიგესთან აგვიშვეს, მან კი 15 მანეთად მოგვცა ნომრების გასაღებები და გვეღირსა ძილი და მოსვენება.*

*ჩვენი მატარებლის გასვლას დილის 10 საათის მაგივრად საღამოს 7 საათზე ძლივს დაადგა საშველი. ტაიშეტში ბევრი ქართველი ვნახეთ, უმთავრესად საშოვარზე ჩასული საქმოსნები („შაბაშნიკები“). ზოგი იქ დაქორწინებულიყო და დამკვიდრებულიყო კიდეც. ვუსაყვედურეთ მათ სამშობლოს მიტოვება, მაგრამ იოლ საშოვარს დახარბებულებს ეროვნული გრძნობისათვის არა სცხელოდათ.*

*საბარგო მანქანა დავიქირავეთ და კვიტოკისაკენ გავეშურეთ. კითხვა-კითხვით მოვადექით ბარაკის ტიპის საერთო საცხოვრებელს.*

*ბავშვურად გაიხარა მერაბმა ჩვენი დანახვით, მოგვესიყვარულა და მაშინვე მეგობრები მოიკითხა,* ***ზვიადი*** *როგორ არის, ხომ ნახულობთო.* ***თემურ ჯანელიძე*** *და* ***გურამ ვანიძე*** *გაიხსენა. – გიზო, – მომიბრუნდა მე, – შენ და გურამი სიზმარში გნახეთ, შენ კი გელოდი, მაგრამ სიზმარი ასე ავხსენი, გურამს ვერ უნდა მოეხერხებინა ჩამოსვლა.*

*ის იყო უნდა გვევახშმა, რომ ერთი 15-16 წლის, გაძვალტყავებული ბიჭი მოგვადგა, ჭუჭყიანი შარვალ-ხალათი ეცვა. სალამის მსგავსი რამ ჩაილუღლუღა და კედელთან აიტუზა. ბიჭი ერთ წერტილს მისჩერებოდა, ხანდახან შეხედავდა მერაბს. თითქოს რაღაცას ელოდა მისგან.*

*– აქ გონებასუსტ ბავშვთა სკოლა-ინტერნატია. ეს ბიჭიც იქიდან არის, – გვეუბნება მერაბი. – ამ ინტერნატსა თუ რაღაც ჯანდაბასა და დოზანაში ბავშვებს ძალზე ცუდად ექცევიან, არც აჭმევენ, არც აცმევენ, ცემა-ტყეპას კი არ აკლებენ.*

*მან ჩვენს მიერ ჩატანილი შებოლილი ძეხვებიდან ერთი ცალი აიღო და ბიჭს მიაწოდა; ამას მთელი პურიც მიაყოლა. ნუ გერიდება, მიირთვიო, – უთხრა დაყვავებით. ბიჭმა მყისვე უბეში ჩაიდო ეს ყოველივე. მერაბმა ერთი შეხედა. კიდევ ორი ძეხვი და ორი მთელი პური მისცა.*

*– წაიღე, მეგობრებს უწილადეო, – უთხრა ალერსიანად და მერე ჩვენ მოგვიბრუნდა, – ეს კეთილი ბიჭია, უეჭველად ასე იზამს.*

*მერაბმა ბიჭი არ გაუშვა. ძეხვი და პური დაჭრა და საბრალო ყმაწვილი სუფრასთან მოიხმო.*

*ბიჭმა ლამის მთელ-მთელად გადაყლაპა პურისა და ძეხვის ნაჭრები. მერე თვალები გაუბრწყინდა, გამოგველაპარაკა, – მადლობა გადაუხადა მერაბს და წავიდა.*

*ჩვენი ჩატანილი ქართული ღვინო დავაჭაშნიკეთ. მერაბი დაწვრილებით გვეკითხებოდა საქართველოს ამბებს. მეგობრებს იხსენებდა ხშირ-ხშირად: ზვიადს ხომ არ უჭირს, თემური ხომ არ ავადმყოფობსო და ასე შემდგომ. ყველა მოიგონა, უკმაყოფილებას გამოთქვამდა საქართველოს ხელისუფლებაზე – ციხეები აავსეს ქართველებითო. ეროვნული მოძრაობის შესახებაც შეგვეკითხა. თავადაც ბევრი რამ იცოდა. მასაც გაეგო, ეროვნული მოძრაობის იმჟამად ისედაც მცირერიცხოვან აქტივისტებს შორის განხეთქილება რომ იყო ჩამოვარდნილი. ამბობდა: რომ ჩამოვალ ყველას შევარიგებ, მოყვასს არ უნდა განვიკითხავდეთ, ის უნდა გვიყვარდეს მაცხოვრის მცნებისამებრ, სხვაფრივ მტერი იოლად დაგვამარცხებსო.*

*ერთი კვირა დავყავით მერაბთან. ჩვენი უკან გამგზავრების ჟამიც დადგა. ამით ვისარგებლეთ და კიდევ ერთხელ მერაბთან ყოფნის სურვილით აღვსებულებმა, მამულს მოცილებული მეგობარი რესტორანში შევიპატიჟეთ. იქ ჩვენ სუფრას ერთი ქუთაისელიც შემოუერთდა.*

*ჩვენს ახლოს ვიღაც საეჭვო პირები დასხდნენ. მაშინ მთელი რუსეთი კულიკოვოს ბრძოლის 500 წლისთავს ზეიმობდა. ის პირნი, რომელნიც გარეგნულად არ ჰგავდნენ ხულიგნებს, ჩვენსკენ ხელს იშვერდნენ, ამ თარიღს იშველიებდნენ და ხმამაღლა იძახდნენ: – „ჩვენ 500 წელია, ყველას ვჭაბნით. აი, ამათაცო!“.. ყველამ ვიგრძენით, რომ ეს იყო აშკარა პროვოკაცია. მერაბი ბრაზით ტუჩებს იკვნეტდა. მაგრამ ვურჩევდით, სჯობდა ავრიდებოდით აყალმაყალს; ბოლოს მათმა შეურაცხმყოფელმა რეპლიკებმა გამოგვიყვანა მოთმინებიდან. შელაპარაკება ცუდ ფორმას ღებულობდა. საქმეს იმან უშველა, რომ რესტორნის დარბაზში შემთხვევით იქ მცხოვრები რამდენიმე ქართველი შემოვიდა, რომელთა შორის ერთი ჩეჩენიც ერია. პროვოკატორებმა რაკიღა დაინახეს საქმე ახლა სახუმაროდ აღარ წარიმართებოდა, თავი დაგვანებეს და იქიდან გაიკრიფნენ. მერე გაირკვა, რომ ისინი ადგილობრივი უშიშროების თანამშრომლები ყოფილან.*

*ამასობაში მატარებელიც ჩამოდგა. მერაბმა ხელში წერილები ჩაგვიდო, დედაჩემს და ზვიადის გადაეცითო...*

*ვერა და ვერ ვიმეტებდით ჩვენთვის ამ უსაყვარლეს კაცს ციმბირში დასატოვებლად. ვერც თვითონ გველეოდა. მატარებელი რომ დაიძრა, მერაბს გრძნობა იმდენად მოაწვა, რომ ვაგონს შემოახტა, – რაც არის და არის, ჯანი გავარდეს, თბილისში უნდა წამოვიდეო, – გაიძახოდა.*

*– რას ამბობ, შენ ტაიშეტიდან გასვლის უფლებაც კი არა გაქვს, ყველას დაგვაპატიმრებენ და მერე უფრო დიდხანს ვეღარ ნახავ ვერც თბილისს და ვერც საქართველოს, – ჩავაგონებდით...*

*დაგვიჯერა და ჩახტა მატარებლიდან...*

*ეს შეუდრეკელი ბუნების კაცი უაღრესად პოეტური სულისა იყო, ღრმად მორწმუნე ქრისტიანი, სათნო, კეთილი, მიამიტური, მიმნდობი...*

*რამდენი იტანჯა, იტვირთა და შემდეგ პატიმრობიდან განთავისუფლებისთანავე, მშობლიური ერის სიყვარულით ანთებულმა, კვლავ ბარიკადებს მიაშურა.*

*ისევ პატიმრობა, მაგრამ ამჯერად ხანმოკლე...*

*ბრძოლის ველზე არ დაცემულა, ბრმა შემთხვევამ იმსხვერპლა.*

*ვეღარ იხილა მერაბ კოსტავამ ბევრი რამ, რაც შემდეგ მოხდა... მაგრამ მჯერა, რომ მისი სული ყოველთვის შეიგრძნობს სამშობლოს ტკივილებს და დღესაც და ხვალაც მფარველად მოევლინება საქართველოს...*

**გიზო კორძაძე.**



**სურათზე: მერაბ კოსტავა და გიზო კორძაძე კოსტავას სახლის ეზოში.**

**თანამედროვე ქართული ესსეი**

**ვაჟა-ფშაველა – 150**

*სანამ ახალშობილნი ჯერ კიდევ ვიღიმებით, სანამ სიყვარულის დესპანებად მოვდივართ ამქვეყნად; სანამ ღვარძლსა და მტრობას არ შეუცვლია ჩვენი გულები; სანამ გვიან არაა, იმათ ვუსმინოთ, ვისთვისაც სიყვარული არ მომკვდარა, ვის წინაშეც მუხლი მოუყრია სიკვდილის ანგელოზს. ვინც ისევ გვიხობს და გვაფრთხილებს:*

# ვისაც მტერობა მოსწყურდეს...

***მე ვარ გზაი ...***

***ჩამოდის ხევად ზოვები, ჩამონასხლეტნი კლდეებისა. გაუბამ ყინულს ლურჯადა უზე-კალთები წყლებისა. მიუნაქრია ერთიან ვიწრო სავალი გზებისა.*** - რა გზას მიუყვება ქეთელაური? საით მიჰყავს ატირებული დედა და ცოლ-შვილი? ***– ავაჰმე, ჩვენო სახ-კარო, ქვა-ქვაზე აღარ დგებაო. ციხეზე, ჭერხოს ბოძებზე ახლა ყოვები სხდებაო... ვაჰმე, რა უგზოდ დავდივართ, ვაჰმე, როგორა ბნელაო!*** ნუთუ ალუდასთვის გზა დასრულდა და უგზოობა დაიწყო? იქნებ ალუდასნაირნი საამქვეყნონი არა არიან? იქნებ მათი გზა უფსკრულთან მთავრდება? ***ერთხელ მაუნდის ალუდას, ერთხელ მობრუნვა თავისა...*** – უკან რა დარჩენია? ყველაფერი, რაც ასულდგმულებდა, რაც უყვარდა, რაც სწამდა; იხედება ალუდა წარსულისკენ, იმ ალუდასკენ, საფიხვნოს თავში რომ დამჯდარა, მოყვარეს „გზიანი სიტყვით“ ეგებება, მტერს – მახვილით და ცხოვრებაც ჩვეული წეს-რიგით მიდის; მამა-პაპათაგან დადგენილი ადათ-წესები საიმედოდ იცავს ყველას. ამ წესებზე იზრდებიან ბავშვები, ამ წესებს იცავენ ახალგაზრდები, ამ წესით სჯიან უხუცესნი. ეს წესი სისხლის უწყვეტ ნაკადს მიჰყვება თაობიდან თაობაში – ყველაფერი დღესავით ნათელია, გარკვეულია, სავალი გზებიც გაკვალულია. მაშ რატომ?... მაშ ვინ არის ეს ალუდა, რომელიც იმ ალუდას შესცქერის, საფიხვნოს თავს რომ დამჯდარა და სახლის ჭერხოზე მტრის უთვალავი მარჯვენა მიუკრავს! რა უნდა? ...

* * *

ნიკოდიმოსი, ურიათა მოძღვარი, ღამით – ბნელში, იესოსთან შესახვედრად მიდის. ნიკოდიმოსი ფარისეველია – იმ სკოლის წარმომადგენელი, რომლის მიზანი ადამიანის სულიერი ნაკადის დაკავშირებაა მისივე სისხლისმიერი განვითარების ნაკადთან. განვითარების სისხლისმიერი გზა მიუძღვება ადამიანებს უკან, იმ წმინდა საფლავებისკენ, სადაც შესაძლებელი იყო აბრაამს ღმერთი გამოცხადებოდა. ესაა ღმერთთან შეხვედრა, ოღონდ უკან, დაბადებისკენ. დიდი მოწიწებით მიეახლება ფარისეველთა მოძღვარი იესოს: - რაბი, უწყით, რამეთუ ღმრთისა მიერ მოსრულ ხარ მოძღვრად! იესო კი დაბადების მისტერიაზე ელაპარაკება: - ამინ გეტყვი შენ, უკეთუ ვინმე არა იშვას მეორედ, ვერ ხელეწიფების ხილვად სასუფეველი ცათა. ნიკოდიმოსს არ ესმის ... მისთვის დაბადება დროში უკუსვლაა, წინა დაბადებაა, ან კვლავ დედის საშოში დაბრუნება და ისევ შობა?!

– შობილი იგი ხორცთაგან ხორცი არს; და შობილი იგი სულისაგან სული არს. ნუ გიკვირნ ... ნოკოდიმოსს, მოძღვარს ისრაილისას უკვირს ... ვითარ შესაძლებელ არს ესე? რა არის ის, სულისაგან შობილი, რომელიც არ უწყინ საით ვალს, რომელიც არ მიყვება მოსეს მიერ დადგენილ კანონებს, რომელიც არ მისდევს აბრაამიდან მომავალ სისხლის ნაკადს, არ მისდევს მრავალთა ხმას და ახალ, შეუცნობელ გზებს კვალავს. რაი არს?

- სულსა ვიდრეცა უნებნ ჰქრინ და ხმა მისი გესმის, არამედ არა იცი, ვინ მოვალს და ვიდრე ჰვალს; ესრეთ არს ყოველი შობილი სულისაგან. ნიკოდიმოსს, მოძღვარს ისრაელისას უკვირს!

* * *

***– მაცნე მოიდა შატილსა, ქისტებმა მოგვცეს ზიანი ...*** ალუდა მტერთან შესახვედრად მიდის.



ბრძოლაც შეხვედრაა, ოღონდ თავისი ენა და კანონები აქვს. ღირსეულს შეებრძოლები, თუ უღირსს? შედგება შეხვედრა, თუ ვერა? ალუდასთვის ბრძოლა არამარტო ცხოვრების წესი, ბედისწერაა - სისხლი უნდა დაიღვაროს, მოწინააღმდეგის ცოდვილი სისხლი. ამ სისხლზე და მოჭრილ მარჯვენაზე - დამარცხებული მტრის ცოცხალ ხატზე – თაობები უნდა გაიზარდონ. ახალშობილის ახელილი თვალი დამარცხებული მტრის მოკვეთილ მარჯვენას უნდა შესცქეროდეს. ქისტი ურჯულო ძაღლივით უნდა მოკვდეს, მის სხეულს ყვავ-ყორნები უნდა ჯიჯგნიდნენ, მისი სული დაუმარხავ სხეულთან უნდა დაწრიალებდეს. ეს თემისა და შენი ღმერთის საკურთხეველზე მიტანილი სისხლია. ამ სისხლზე მხოლოდ შენ არ აგებ პასუხს, თემს ეკუთვნის, მთელი თემის პასუხისმგებლობაა. ალუდა საბრძოლველად მიდის – ცისკრის ხანია, მტერს მისდევს კლდის შავარდენი ჩქარიო, გათენებისას ჭიუხში შურთხმა დარეკა ზარიო, ძაღლებს კი სძინავ თეოზე, ჯერ არ გაშლილა ცხვარიო! – აგერ ქისტების ნავალიც, აგერ ისინიც. შორს არიან, ხმლით ვერ მისწვდება. ერთ ქურდკანტალა ღილღველსა ცუდი დაუდგა წამიო – ალუდას ტყვია მიზანს ხვდება. ჩვენს თვალწინ ქურდკანტალა ღილღველის ხატია: ასეთები არიან, ვაჟკაცები არა – ქურდკანტალები. მისი ამხანაგი კი – ალუდამ ჯერ არ იცის ვის ერკინება. მალე მუცალის თოფი იჭექებს და მისი ხმაც გვესმის: ***- არა გჭირსაა, რჯულძაღლო?*** – შერკინება იწყება. ორი ვაჟკაცის ურთიერთგაპაექრება სიტყვით თუ ტყვიით:

***– ნუ გგონავ, მჭირდეს რჯულძაღლო, ყმასა გუდანის ჯვრისასა – ხმა ალუდაის თოფისა ქეხასა ჰგვანადა ცისასა -*** . ბრძოლა, დიალოგი და სიკვდილთან თამაში. ორივე სიკვდილს უცქერის თვალებში...არც ერთი სიტყვა, არც ერთი ყალბი ჟესტი. სიკვდილი არ არსებობს, არსებობს უარესი – მარცხი.

- თამაში სიცოცხლეა, თამაში ახლის, მყისიერის დაბადებაა, წამყოფაა. სადაც წამყოფაა, იქ ახალი შესაქმეა. ტყვიებისა და კლდის ნასხლეტთა ჭახაჭუხში არც სიტყვა იკარგება. აკი ალუდას სიტყვა მაუდის „გზიანი“. ეტყობა, მუცალსაც„მაუდის:“

- *არ მოგხვდაუა, რჯულ-ძაღლო, - ისევ ეძახის იმასა.*

- *მუცალს არა სჭირს რჯულძაღლო, ნამტვრევს მაშლიდა კლდისასა.*

- *ოჰო, ქუდ გაუხვრეტია, წვერებსა სტუსავს თმისასა.*

*მაღლა დაგიცდა , ბეჩავო, კენჩხას არა სჭირს ძვლისასა.*

- სიკვდილი ცეკვავს მათ გარშემო. ხან წვერს უტუსავს, ხან თოფის საპირისწამლეს ჩამოშლის. ბრძოლა თანდათან ხელდება; - არც ახლა გჭირსა რჯულძაღლო? ზედაც დაჰყვედრებს იმასა – ეს გახელებული მუცალია.

***- არა სჭირს, არა, რჯულძაღლო, ყმასა გუდანის ჯვრისასა, გამმარჯვედ ჯვარი დაჰყვების,ძალს შაახვეწებს ღვთისასა.***

- ორივე ერთმანეთის რჯულს ახსენებს, ერთმანეთისთვის რჯულძაღლნი არიან – რჯულით სხვადასხვანი. ერთ-ერთის გამარჯვება მათი ღმერთის გამარჯვებაცაა. შატილიონის ნასროლი ქისტს უმტვრევს გულის ფიცარსა.

***- გულში მჭირს, გულში, რჯულძაღლო, ვაჰ, ცდასა მუცალისასა!*** – ბოლო გაბრძოლება? არა, სიკვდილთან შერკინება! მუცალი მოკვდება, მაგრამ არ დამარცხდება, შიშის ფერი არ დაედება.

***მუცალს არ სწადის სიკვდილი, ფერს არა ჰკარგავს მგლისასა...ერთიც ესროლა ალუდას, ხანს არა ჰკარგავს ცდისასა.*** თამაში მთავრდება, როგორც არაერთხელ დამთავრებულა – დამარცხებული უნდა დამარცხდეს, გამარჯვებულმა გამარჯვების რიტუალი შეასრულოს! საცაა ბედისწერა ფარდას ჩამოუშვებს და ... უეცრად, მუცალის უკანასკნელი ჟესტი – *თოფიც ალუდას გადუგდო, ერთს კიდევ ეტყვის სიტყვასა; ეხლა შენ იყოს რჯულძაღლო, ხელს არ ჩავარდეს სხვისასა, სიტყვა გაუშრა პირზედა, დაბლა გაერთხა მიწასა.*

თამაში წამყოფაა, თამაში ახლის დაბადებაა... ბედისწერის ბორბალი უკუღმა დატრიალდა, ყველა ჩარჩო და ზღვარი გაქრა, როლები ერთმანეთში აირია. ვინ გამარჯვებულია და ვინ დამარცხებული? რომელია დაჭრილი და სულთმობრძავი, მუცალი თუ მუცალთან დაჩოქილი ალუდა? მუცალი ესალმება სიცოცხლეს, თუ ალუდა ეთხოვება მისთვის განუყოფელსა და ძვირფასს? რატომ შეტრიალდა სამყარო? მუცალი მტერია, თუ ძმაზე ძვირფასი? უსჯულოა, თუ ქრისტიანი? რა სასწაული მოხდა? – მუცალი მოკვდა, თუ მეორედ იშვა, დაიბადა და ახლადშობილი გაშორდა წუთისოფელს? მტრის ცხედართან დახრილს რად უგლეჯს გულს ყოვლისწამლეკავი ტკივილის განცდა? და ალუდა ქეთელაური, მტრის რისხვა, ქისტებთან ბრძოლაში გამობრძმედილი, ტირის!

ალუდა იმ დღეს არც მხოლოდ ქისტს შეხვედრია, არც მხოლოდ მტერს, არც მხოლოდ კაი ყმას, ალუდა იმას შეხვდა, რაც ადამიანში ადამიანზე მეტია, რასაც სიკვდილი ვერ შეეხება, რაც სიცოცხლისკენ მე-ს გამოიხმობს და ახლიდან გშობს. მეორედ შობის მისტერია აღსრულდა და ბედისწერასთან შერკინების დრო დადგა – ალუდამ მტერი შეიცოდა!

* * *

„რაკიღა ყველა საგანში მტრობაა ჩაბუდებული, ბრძენ-კაცის სული საგნებზე ცეცხლის ალივით უნდა ამაღლდეს და მტრობა ჰარმონიად გარდასახოს“. ჰერაკლიტეს ამ ნათქვამს კაცობრიობის განვითარების სათავეებთან მივყავართ.

მამა ღმერთის სამყარო, ცოდვათდაცემა, კაცობრიობის პირველი ნაბიჯები, დედამიწაზე კაცის მიერ ჩადენილი პირველი ცოდვა – კაენ, სად არის ძმა შენი? – პირველი უცოდველი სისხლი და კაცთა მოდგმის ორ ნაწილად გაყოფა – კაენისა და აბელის მოდგმად. მტრობისა და სისხლის ნაკადი ამ ორ მოდგმას შორის – ერთი კაცის ცოდვა კი არა, მთელი მოდგმის ცოდვა; ერთი კაცის პასუხისმგებლობა კი არა, საზოგადოების, თემის, გვარის პასუხისმგებლობა.

აქედან ტრადიციები – სამშვინველის მიერ მიწიერი ცხოვრებისათვის გამონახული ფორმა. მრავალი საუკუნე გავა, სანამ მოვიდოდეს ძე ღვთისა, საკუთარ თავზე აიღებდეს პირველცოდვას და პრომეთეს ჩირაღდანს გვაჩუქებდეს, რადგან პრომეთემ სწორედ შემოქმედებითი ცეცხლი – თავისუფლების შესაძლებლობა მოუტანა ადამიანებს.

გოლგოთის მისტერია – ისევ დაიღვარა უცოდველი სისხლი, ოღონდ ამჯერად სიყვარულმა გაიმარჯვა – კაენს ეპატია. ამჯერად სიყვარულმა გამოისყიდა ცოდვა, მთელ კაცობრიობას რომ აწვა და თაობებში სისხლით გადადიოდა. ამიერიდან ადამიანი თავისუფალია. ადამიანს უფლება აქვს ჰქონდეს საკუთარი, პირადი შეცდომა და არა სულიერი სამყაროდან წამოსული ცოდვა. ადამიანს ეძლევა პატიების უფლებაც; კაცობრიობამ შეაბიჯა განვითარების ახალ სფეროში. ეს გარდაქმნისა და შემოქმედების, პიროვნების „კრიზისისა “ და ბედისწერასთან „თამაშის“ სფეროა.პიროვნებამ, მომავლის არსებამ, ძველი, სისხლისმიერი მორალი უნდა შეცვალოს ახალი, საკუთარი მორალით, რაც მორალის სრულყოფას მოითხოვს. იქამდე კი ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი: ცოდვის, მონანიების, მტრობის, მიტევების, - საკუთარი ბედისწერის გზა. მამა-პაპათა დადგენილი ადათ-წესების რღვევა საზოგადოებისთვის ყოველთვის მტკივნეულია, გაუგებარია. ამ ადათ-წესებს ყოველთვის ერთეულები არღვევენ. ერთეულები ქმნიან კაცობრიობის ახალ ბედისწერას, მაგრამ ეს ერთეულები არიან პასუხისმგებელნი კაცობრობისა და სამყაროს წინაშე.

* * *

***– მე ვარ ჭეშმარიტებაი ...***

***– ალუდას თოფი არ უნდა, ატირდა როგორც ქალიო; არ აჰყრის იარაღებსა, არ ეხარბება თვალიო, მარჯვენას არ სჭრის მუცალსა, იტყოდა: ცოდვა არიო;*** (ალუდამ მტერი შეიცოდა), ***ვაჟკაცო, ჩემგან მოკლულო, ღმერთმა გაცხონოს მკვდარიო ( მუცალი ალუდასთვის ცხონებულია), შენ ხელ შენს გულზედ დამიწდეს, ნუმც ხაროზს ქავის კარიო*** (*ვაჟკაცს* ვერ შეურაცხყოფს, პატივაყრილს ვერ გაუშვებს სულეთის გზაზე), **კარგი გყოლია გამზრდელი, ღმერთმ გიდღეგრძელოს გვარიო!** (მისი გვარი ალუდასთვის უკვე აღარაა ქურდკანტალა ღილღველთა გვარი, ეს ღვთისგან დალოცვილი და დღეგრძელი ვაჟკაცთა მოდგმაა).

- ალუდა შატილს ბრუნდება. უკანა გზა შატილამდე – ათასწლოვანი,ნაჩვევი და საუკუნეებგამოვლილი, არხოტის წყალივით მიდის, მიედინება შთამომავალთა ძარღვებში. ის მძაფრი ხატ-სახეები, რაც ალუდას თვალწინ ჩაივლის, თემისა და გვარის მთელი ისტორიაა – ***ვისაც მტერობა მოსწყურდეს, გააღოს სახლის კარია, სისხლ დაიგუბოს კერაში, თითონაც შიგვე მდგარია, ღვინოდაც ამას დაჰლევდეს, პურადაც მოსახმარია, პირჯვარი დაიწეროდის, მითამ საყდარში არია. სისხლშია ჰქონდეს ქორწილი, იქ დაიწეროს ჯვარია. დაიპატიჟოს სტუმრები, დაამწკრიოდის ჯარია, სისხლში დაიგოს ლოგინი, გვერდს დაიწვინოს ცალია. ბევრი იყოლოს შვილები, ბევრი ვაჟი და ქალია; იქვე საფლავი გათხაროს, იქ დაიმარხოს მკვდარია. შენ რო სხვა მაჰკალ, შენც მოგკვლენ, მკვლელს არ შაარჩენს გვარია.*** – შურისძიების სისხლში ჩამხრჩვალი ცხოვრება უწყვეტ ნაკადად მიედინება და სანამ ახლიდან არ იშვები, შენი ცხოვრებაა, შენი წესი და რიგია, შენი გზაა. მიდის სულიერად ფერნაცვალი ალუდა, თვალწინ სისხლიანი ხატ-სახეები ურიალებს. შატილიონნი კი თავის გმირს ელიან. ქალი და რძალი ბანზე გადამდგარა, დიდ-პატარა შეკრებილა. ალუდა უნდა წარსდგეს უხუცესთა წინაშე და ყველაფერს პირუთვნელად მოყვეს. ალუდაც გულწრფელად ჰყვება, რაც ნახა და განიცადა. ხევისბერი და მთელი თემი უსმენს – ახლა მათაც უნდა განიცადონ იგივე, ისინიც უნდა ეზიარონ ჭეშმარიტებას – *იმ ცხონებულსა მუცალსა* ... - (შობილი სულისაგან სული არს...) – და უშიშას მყისიერი რეაქცია – რას ამბობ, ქისტის ცხონება ვინ გაიგონა ყურადა – უშიშას, ხევსურთა უხუცესს, უკვირს: „ვითარ შესაძლებელ არს ესე?“...

**ქეთევან აბრამიშვილი**

**(დასასრული „კვირაძალს საკითხავის“ შემდეგ ნომერში).**

ჩანართზე მუშაობდნენ ნინო ხოფერია და კახა ქორიძე

№ 209. შაბათი, 5 ნოემბერი, 2011 წელი.

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველოს და რუსეთის მხარეები სხვადასხვაგვარად გადმოსცემენ სიტუაციას ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასთან დაკავშირებულ პრობლემასთან. თბილისში აცხადებენ, რომ რუსეთის მხარემ „აიღო ტაიმ-აუტი“ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისთვის, მოსკოვი ამტკიცებს, რომ არანაირი შესვენება მას არ აუღია.

„ამ მომენტისთვის, როგორც ამბობენ, ბურთი მთლიანად რუსეთის ტერიტორიაზეა და რუსეთმა უნდა თქვას თავისი საბოლოო სიტყვა“, – განაცხადა საქართველოს ვიცე-პრემიერმა, მინისტრმა ევროინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძემ.

მისი სიტყვებით, შვეიცარიამ წარმოადგინა თავისი წინადადებები რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში შესვლასთან დაკავშირებით, საქართველოს ეს წინადადებები ხელს აძლევდა და ახლა მათ რუსეთის მხარე განიხილავს. თავის მხრივ რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა მოლაპარაკებაზე მაქსიმ მედვედკოვმა განაცხადა, რომ არანაირ ტაიმ-აუტზე არ ყოფილა საუბარი.

„ის, რასაც გუშინ იტყობინებოდნენ – სიმართლეა“, – განუცხადა მედვედკოვმა პრაიმის სააგენტოს.

ოთხშაბათს ცნობილი გახდა, რომ რუსეთმა და დასცემდნენ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციას და არა საქართველოს მხარეს“.

მისი სიტყვებით, იყო ამ წინადადების რამდენიმე სხვადასხვა ვარიანტი, რაზეც საქართველოს მხარე უარს აცხადებდა.

„ბოლოს, ათი დღის წინათ შვეიცარიელებთან ერთად ინტენსიური მოლაპარაკების შემდეგ ჩვენ შევიმუშავეთ ერთობლივი წინადადება, რომლის მიხედვითაც მესამე მხარე – ამ შემთხვევაში შვეიცარიის კონფედერაცია – მოქმედებს საერთაშორისო გაერთიანების სახით და ქირაობს საერთაშორისო სერტიფიცირებულ მონიტორებს, რომლებიც, საერთაშორისო შეთანხმების თანახმად, ანგარიშვალდებული არიან შვეიცარიასთან“, – თქვა სააკაშვილმა.

მისი სიტყვებით, შედეგად, პირველად 1992-1993 წლების შემდეგ, საქართველომ მიაღწია იმას, რომ იგი მუდმივად მიიღებს ინფორმაციას ყველა ტვირთის შესახებ, რომელიც შემოვა საქართველოს აღიარებულ ტერიტორიაზე.

„ის, რასაც ჩვენ მივაღწიეთ, არის პირველი მეტად მნიშვნელოვანი დადასტურება საქართველოს საბაჟო საზღვრებისა, საბაჟო კონტროლისა საქართველოს ტერიტორიაზე; ამ შემთხვევაში ეს

# რუსეთი და საქართველო გარიგებას ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასთან დაკავშირებით სხვადასხვაგვარად აფასებენ

საქართველომ მიაღწიეს შეთანხმებას ხელშეკრულების კომპრომისულ ვარიანტზე რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში შესვლის პირობებთან დაკავშირებით, კერძოდ, ტვირთების მონიტორინგის საკითხში საზღვრის აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის მონაკვეთებზე.

რუსეთსა და საქართველოს შორის მოლაპარაკებაზე შუამავლად შვეიცარია გამოდის. სწორედ მან შესთავაზა შეთანხმების უკანასკნელი ვარი-




ანტი, რომლის მიხედვითაც ტვირთების მონიტორინგი რუსეთისა და საქართველოს საზღვარზე მოეწყობა საერთაშორისო მეთვალყურეების მიერ.

### სააკაშვილი გამარჯვებაზე საუბრობს

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი შეთანხმებას, რომელიც მიღწეული იქნა მოლაპარაკების პროცესში რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრობასთან დაკავშირებით, საქართველოს „დიპლომატიურ გამარჯვებად“ მიიჩნევს, იტყობინება ბი-ბი-სის რუსული სამსახურის კორესპონდენტი ნინო ახმეტელი.

„მიმაჩნია, რომ იმ პირობებში, როდესაც საქართველო ინტენსიურად აწარმოებდა მოლაპარაკებას, ეს ჩვენი დიპლომატიური გამარჯვებაა, – განაცხადა სააკაშვილმა. – რასაკვირველია, საბოლოო ჩვენი გამარჯვება იქნება მაშინ, როდესაც აქ საზღვრებზე იქნებიან არა მხოლოდ საერთაშორისო მეთვალყურეები, არამედ საქართველოს სასაზღვრო და საბაჟო სამსახურები, და ჩვენ ამას მივაღწევთ“.

სააკაშვილის სიტყვებით, უკანასკნელი თვეების განმავლობაში რუსეთი უარს ამბობდა საერთაშორისო მონიტორინგზე რუსეთ-საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებულ მონაკვეთზე.

თავდაპირველად რუსეთი საერთოდ უარს აცხადებდა მონიტორინგზე, რამდენიმე თვის შემდეგ კი შესთავაზა მონიტორინგი მხოლოდ დერეფნებში ტერიტორიებზე, რომელსაც კონტროლს თბილისი უწევს, და უკვე ბოლოსთვის რუსეთი ვარაუდობდა მონიტორინგის ორმაგ რეჟიმს, განაცხადა სააკაშვილმა.

„მესამე წინადადება იყო უკვე ბოლოს... მეთვალყურეები გააკონტროლებდნენ იმას, რაც მიდიოდა იქით, რასაც რუსეთი მიიჩნევს საქართველოდ, ხოლო იმასთან დაკავშირებით, რაც მიდიოდა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონებში, ისინი ინფორმაციის სახით, თავისი სურვილის შესაბამისად, გაარის მონიტორინგი საერთაშორისო მხრიდან, რომელიც, სხვათა შორის, აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას“, – განაცხადა სააკაშვილმა.

### საზღვრების კონტროლის სქემა

ხუთშაბათს თბილისში გამოთქვეს იმედი, რომ მოლაპარაკების პროცესი რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში შესვლის შესახებ შეიძლება 10 ნოემბრისთვის დასრულდეს.

„ჩვენი მგზავრობის მიზანია – შეხვდეს რუსეთის მხარეს შვეიცარიის შუამავლობით და მიიღოს პასუხი შეკითხვაზე, არიან თუ არა ისინი თანახმა შემუშავებული წინადადებებისა. თუ ეს ასეა, რჩება მხოლოდ პროცედურული საკითხები, რომლებიც დაკავშირებული არიან მხოლოდ ტექნიკურ ასპექტებთან. და მთელი ეს მოლაპარაკების პროცესი უნდა დამთავრდეს 10 ნოემბრამდე“, – თქვა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის მოადგილემ, მოლაპარაკებაზე საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა სერგი კაპანაძემ.

მონიტორინგი გულისხმობს საერთაშორისო მეთვალყურეების განთავსებას სამი სავაჭრო დერეფნის დასაწყისსა და ბოლოში და ინფორმაციის ელექტრონულ გაცვლას.

„ეს სავაჭრო დერეფნები იწყება მდინარე ფსოუდან ქალაქ ზუგდიდამდე, როკის გვირაბიდან ქალაქ გორამდე და „ზემო ლარსი – ყაზბეგის“ საკონტროლო-გამტარ პუნქტზე. საერთაშორისო მონიტორები გააკონტროლებენ ყველა ტვირთს, რომელიც გაივლის ამ დერეფნებს დასაწყისში და ბოლოში“, – გვითხრა სერგი კაპანაძემ.

საკონტროლო-გამტარი პუნქტი „ყაზბეგი-ზემო ლარსი“ ამჟამად ერთადერთი ოფიციალური გამტარი გზაა სახმელეთო საზღვარზე რუსეთსა და საქართველოს შორის.

რუსეთი ცდილობს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში შესვლას 1993 წლიდან.

2008 წლის აპრილის ბოლოს საქართველო გამოვიდა მოლაპარაკების პროცესიდან რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში შესვლასთან დაკავშირებით. იგი პროტესტს აცხადებდა რუსეთის პრეზიდენტის განკარგულების გამო ეკონომიკური სანქციის მოხსნის შესახებ აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით.

2008 წლის აგვისტოში შეიარაღებული კონფლიქტისა და რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობის ცალმხრივად აღიარების შემდეგ თბილისმა გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა მოსკოვთან, რესპუბლიკები კი ოკუპირებულ ტერიტორიებად გამოაცხადა.

მოლაპარაკება მოსკოვსა და თბილისს შორის რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში შესვლასთან დაკავშირებით განახლდა მიმდინარე წლის მარტში შვეიცარიის შუამავლობით.

BBC RUSSIAN.com

## დედამიწის ზურგზე

### მეტეოროლოგები: მსოფლიოს ექსტრემალური ზამთრები, ძლიერი სტიქიები და ანომალიები ელოდება



მეცნიერებს პრაქტიკულად ეჭვიც არ ეპარებათ (მათი შეფასებით ალბათობა 99 პროცენტს უტოლდება), რომ მსოფლიო იქნება უფრო ექსტრემალური – იქნება მეტი სითბო. სიცხის ტალღის პიკური მაჩვენებელი საუკუნის შუა პერიოდისთვის ხუთი გრადუსით მაღალი იქნება, ბოლოსთვის კი 9 გრადუსით. რუსეთს კი, პირიქით, ძლიერი ზამთრები ელოდება.

* * *



### საფრანგეთი რუსულმა „ნიანგმა“ ააფორიაქა, რომელმაც სავარაუდოდ ოთხი კაცი მოკლა

ქვეყნის ჩრდილოეთში იკვლევენ ახალგაზრდების დაღუპვას, რომლებიც რუსული წარმომავლობის ტოქსიკურ ნარკოტიკებს ღებულობდნენ და დაიხოცნენ ერთმანეთის მიყოლებით ოთხი დღის განმავლობაში. სახიფათო პრეპარატი გარკვეული პერიოდიდან პოპულარულია ახალგაზრდებს შორის ბელგიაში. დამოკიდებულთა უმეტესობა ერთი წლის განმავლობაში იღუპება.

* * *

### „ტერკოს“ აქციონერები „ფუკუსიმის“ ავარიის გამო ხელმძღვანელობისგან 14 მილიარდ დოლარს ითხოვენ



აქციონერების ჯგუფი 30 კაცის შემადგენლობით მოითხოვეს 1,1 ტრილიონი იენის დაბრუნებას ატომური ელექტროსადგურის სისტემაში დაშვებული შეცდომების გამო, რამაც გამოიწვია გამოუსწორებელი შედეგები. ზარალი ამ თანხად შეაფასა თავად კომპანიამ. თუ კომპანია ინიციატივას მხარს არ დაუჭერს, აქციონერები სასამართლოს მიმართავენ.

* * *

### თვითმფრინავის ორი ავარიული დაჯდომა ვარშავაში, სადაც ადრე „ბოინგი“ დაეშვა ხმელეთზე უშასოდ. და დუბაიში...



პოლონური ავიაკომპანიის „ბოინგ-737“, რომელიც ბრიუსელში მიფრინავდა, დაბრუნდა ვარშავაში მფრინავების მიერ კაბინის ფანჯარაზე ბზარების აღმოჩენის შემდეგ. ბოინგი დაჯდა სქელი ნისლის პირობებში. დუბაიშიც ავარიულად დაჯდა ავსტრალიური ავიაკომპანიის ერთ-ერთი თვითმფრინავი ძრავთან დაკავშირებული პრობლემის გამო.

* * *

### ოკლენდში დარბევების შემდეგ დააპატიმრეს 80 კაცი, 8 კაცი დაჭრილია



შეტაკებებში დაზარალებულთა შორის არიან 5 დემონსტრანტი და 3 პოლიციელი. მრავალათასიანი აქციის „ხელში ჩაიგდე ოკლენდი“, ორგანიზატორებმა ზურგი შეაქციეს დამრბევებს. მათი სიტყვებით, „ანარქისტულმა ახალგაზრდობამ“ დაამსხვრია მაღაზიის ვიტრინები ქალაქის ცენტრში და გააჩაღა ხანძარი. ამ ახალგაზრდობას დემონსტრაციებთან დამოკიდებულება არ ჰქონია.

* * *

### აფეთქება ჩინეთის მაღაროში: 4 მაღაროელი დაიღუპა, 57 ნანგრევებშია



ინციდენტი მოხდა ცენტრალური პროვინციის ხენანის ქალაქ სანმენსში. აფეთქების მომენტში, რომლის მიზეზებიც ჯერჯერობით უცნობია, მაღაროში მუშაობდა 75 კაცი. 14 დამოუკიდებლად მოახერხა ზედაპირზე ამოსვლა. მიმდინარეობს სამაშველო სამუშაოები.

№ 209. შაბათი, 5 ნოემბერი, 2011 წელი.

# ლეგენდარული ბედის ადამიანი

## 1941 წლის 7 ნოემბრის ისტორიული პარადის 70 წლისთავი



ბათუ (დავითი) იაკობაშვილი



1941 წლის 7 ნოემბრის პარადი

1941 წლის 7 ნოემბერს მოსკოვში წითელ მოედანზე გაიმართა ისტორიული პარადი. მან შეძრა მთელი მსოფლიო, რომელიც ჩაითრიეს მეორე მსოფლიო ომის სისხლისმღვრელ ომში. ჰიტლერის მიერ დამონებული ხალხების იმედები მაშინ დაკავშირებული იყო ერთ სახელთან – სტალინთან! იმ დროისთვის კი სტალინს შეექმნა ყველაზე კრიტიკული ვითარება. ფაშისტური გერმანია მოსკოვიდან „ორ ნაბიჯზე" იმყოფებოდა.

ჩვენდა სასიამოვნოდ, არა მხოლოდ ამ პარადის, არამედ 1945 წლის 9 მაისის გამარჯვების პარადის ერთადერთ მონაწილეს, 88 წლის ბათუ იაკობაშვილს, რომელიც თბილისში ცხოვრობს, კარგად ახსოვს ის შფოთიანი დრო და შეუძლია საათობით საინტერესოდ ისაუბროს ამ ამაღელვებელ მოვლენაზე...

გაზეთი „ფოლკიშერ ბეობახტერის" 1941 წლის 15 ოქტომბრის ნომრის ფურცლებზე ასეთი სათაურები იყო: „დიდმა საათმა დარეკა: აღმოსავლეთის კამპანიის შედეგი გადაწყვეტილია", „ბოლშევიზმის სამხედრო დასასრული", „უკანასკნელი ბრძოლისუნარიანი საბჭოთა დივიზიები მსხვერპლად გასწირეს". ჰიტლერმა, როდესაც ბერლინის სპორტპალასის გამარჯვებისადმი მიძღვნილ ზეიმზე გამოდიოდა, წარმოთქვა: „ამის შესახებ ვლაპარაკობ მხოლოდ დღეს, ვინაიდან დღეს შემიძლია სავსებით სამართლიანად განვაცხადო: მტერი განადგურებულია და ფეხზე ველარასოდეს წამოდგება".

მაგრამ ჰიტლერის მოწინააღმდეგე, მიუხედავად არაადამიანური ძალისხმევისა, წამოდგა. და ერთ-ერთი ასეთი მოწინააღმდეგე იყო ჩვენი თანამემამულე – ბათუ (პასპორტით – დავითიძ კონსტანტინეს ძე იაკობაშვილი. ის საჩხერის რაიონიდანაა. ექვსი ძმანი იყვნენ. 41 წლის ზაფხულის დღეს, როდესაც განთიადისას ნემანზე და ბუგზე გაისმა ფაშისტების პირველი ვერაგული აფეთქებების ხმა, საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა ბათუმ სამხედრო კომისარიატში მიიტანა განცხადება თხოვნით, გაეგზავნათ ფრონტზე. მაგრამ მაშინაც და შემდგომ განცხადებებზეც ის ღებულობდა პასუხს: გაიზრდები, მოვა დრო და მოგიწვევს.

როგორც იქნა, მოვიდა ნალოდინევი მოწვევაც. და აგორდა სამხედრო ეშელონის ბორბლები. სათადარიგო პოლკში, მოსკოვთან, ბათუმ დაიწყო ჯარისკაცური ოსტატობის ანბანის შესწავლა. მაგრამ სწავლის პერიოდი დიდხანს არ გაგრძელებულა. ფაშისტები გააფთრებით მოიწევდნენ მოსკოვისკენ, და ახლად ჩამოყალიბებული 197-ე მსროლელი ბრიგადა სასწრაფოდ გადაისროლეს მოწინავე ხაზზე – ვოლოკოლამსკის მიმართულებით. დანაკარგები ორივე მხრიდან უზარმაზარი იყო. დაძაბულობა იზრდებოდა ყოველ საათს.

ოქტომბრის შუა რიცხვებისთვის საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა. საბჭოთა ჯარებში ანგარიშზე იყო აყვანილი ყოველი ჯარისკაცი, ყოველი ჭურვი, ყოველი შაშხანა...

ეს გვიან გაიგო ბათუ იაკობაშვილმა.

1941 წლის 15 ოქტომბერს, დილის 9 საათზე სტალინმა მოიწვია პოლიტბიუროს გაფართოებული სხდომა, რომელზეც მოწვეული იყვნენ თავდაცვის სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელები, პარტიის მოსკოვის კომიტეტის მდივანი შჩერბაკოვი და მოსკოვის სამხედრო ოლქის სარდალი გენერალი არტემიევი. სტალინი იყო მშვიდი, საქმიანად მკაცრი და მობილიზებული. მან განაცხადა: – ჩვენი რეზერვების მოსვლამდე გერმანელებს აქვთ უპირატესობა ძალაში. ფრონტი შეიძლება გაარღვიონ. აუცილებელია მოვამზადოთ ქალაქი იმ შემთხვევისთვის, თუ მტერი მოსკოვში შემოიჭრება.

მოსკოვის დაბომბვა სულ უფრო ძლიერდებოდა და ძლიერდებოდა. შემოტევაც ნაწილებზე, რომლებიც იცავდნენ მოსკოვის მისადგომებს, დღითი დღე ძლიერდებოდა.

1941 წლის 15 ოქტომბერს სტალინმა ხელი მოაწერა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებას „სსრ კავშირის დედაქალაქ მოსკოვის ევაკუაციის შესახებ", რომელიც იწყებოდა სიტყვებით: „მოჟაისკის თავდაცვის ხაზის რაიონში არახელსაყრელი ვითარების გამო თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა დაადგინა..."

სწორედ ამ მიმართულებით აყოვნებდა ჰიტლერებს ბათუ თავის თანაპოლკელებთან ერთად. მაგრამ სამი დღის შემდეგ ფაშისტებმა შეძლეს ხელში ჩაეგდოთ მალოიაროსლავცევიც და მოჟაისკიც. მოსკოვი პანიკამ მოიცვა, იყო დეზერტირობის, მაროდიორობის, ძარცვის შემთხვევები, მაგრამ ისინი ალიკვეთებოდნენ მოსკოვის დამცველთა მტკიცე ხელით.

20 ოქტომბერს ქ.მოსკოვსა და მის მიმდებარე რაიონებში შემოიღეს საალყო მდგომარეობა. სტალინი მოსკოვში დარჩა და ამის შესახებ აცნობეს ყველას: ქალაქის მცხოვრებლებს, მის დამცველ მეომრებს.

ოქტომბრის ბოლოსთვის, როგორც ბათუ იაკობაშვილი იხსენებს, ბრიგადაში მოვიდა ბრძანება: გაძლიერდეს ყურადღება სამწყობრო მომზადებისადმი. ბევრი გაოცებული იყო – მტერი ცხვირწინაა, მებრძოლები დაქანცულები არიან, აქ კი ნაბიჯის აწყობისთვის მზადება ოფლის უკანასკნელ წვეთამდე. 6 და 7 ნოემბრის ღამით მოდის ახალი ბრძანება: ვიყოთ სრულ საბრძოლო მდგომარეობაში. მებრძოლების გულდასმითი შერჩევის შემდეგ, ისინი კარგად გამოკვებეს და მოჟაისკის გზატკეცილზე გაიყვანეს, სადაც მათ სამტონიანი სატვირთო მანქანები – „ზის-5"-ები ელოდებოდნენ. ასე მიიყვანეს ისინი ფილიმდე. აქ ჩამოაყალიბეს კოლონებად და ფეხით წაიყვანეს გორკის ქუჩაზე. აი, აქ იყო, ბათუმ და მისმა თანაპოლკელებმა რომ გაიგეს: საათნახევარი-ორი საათის შემდეგ წითელ მოედანზე გაიმართება სამხედრო პარადი. ეს ფანტასტიკის საზღვარი იყო.

ნაკრები პოლკის შემადგენლობაში, სრული საბრძოლო ეკიპირებით, სანივთე ჩანთით, 1930 წლის ნიმუშის შაშხანით დილის ცხრა საათის დასაწყისში ბათუ იაკობაშვილი შევიდა წითელ მოედანზე ისე, რომ არ სჯეროდა, რა ხდებოდა. იქუხა მარშმა. ბუნებაც არ გვწყალობდა მაშინ. იყო საშინელი ყინვა, იმის შეგრძნებამ, რომ არიან მოსკოვში, წითელ მოედანზე, ასეთ ისტორიულ დღეს, ადამიანებს ერთბაშად მოუხსნა დაღლილობა. ჯერ მაინც არ სჯეროდათ იმისა, რაც ხდებოდა: წითელ მოედანზე სამხედრო პარადი! ფრონტის მეომრები ერთმანეთს თვალებში შესცქეროდნენ, იმ თვალებში, რომლებიც დღითი დღე სიკვდილს უმზერდნენ და ახლა ცრემლები სდიოდათ. ეს იყო სიხარულის, იმედის, თავიანთი უშრეტი ძალის იმედის, სტალინის იმედის ცრემლები!

კრემლის კურანტების უკანასკნელი ზარის დროს სპასკის კოშკების კარიდან გამოვიდა მარშალი სემიონ ბუდიონი. გენერალ-ლეიტენანტმა პიოტრ არტემიევმა მოახსენა, რომ ჯარები მზად არიან პარადისთვის. ბუდიონმა ჩამოუარა მწყობრს, ულოცავდა ჯარისკაცებს დღესასწაულს. შემდეგ სტალინმა მშვიდი, ზომიერი ხმით წარმოთქვა სიტყვა, რომელიც დაამთავრა მოწოდებით, – გერმანელ დამპყრობთა სრული განადგურებისთვის! სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!... წინ გამარჯვებისკენ!

– აუწერელმა სიხარულის მღელვარებამ, – იხსენებს ბათუ იაკობაშვილი, – მოგვიცვა ყველა, როდესაც ტრიბუნალზე ვიხილეთ სტალინი, რომელიც მეომრებს მოგვესალმებოდა. გამარჯვების საკითხი უკვე გადაწყვეტილი იყო!..

დავბრუნდით იმავე გზით და ისევე, როგორც მოსკოვისკენ გავემგზავრეთ. საწყის ზღუდეზე ჩვენი ნაკრები პოლკი მივიდა დღის თორმეტ საათზე. უმალვე შემოგვეხვივნენ წინა ხაზზე დარჩენილი მებრძოლები და მეთაურები. ჩვენ ვიყავით აღელვებულები, ყოველივეს თავიდან განვიცდიდით, ვუყვებოდით მათ წითელ მოედანზე გამართულ პარადზე, სტალინის, საბჭოთა მთავრობის სხვა წევრების მისალმებაზე ჯარისკაცებისადმი. გვეხვეოდნენ, გვილოცავდნენ, გვთხოვდნენ კიდევ და კიდევ გვესაუბრა პარადზე.

აქვე, აგრძელებს ბათუ იაკობაშვილი, გაიმართა მიტინგი, რომელზეც მებრძოლებმა ბრიგადის საბრძოლო დროშის წინ დადეს ფიცი, რომ დაიხოცებიან, მაგრამ მტრის წინაშე ნაბიჯითაც არ დაიხევენ უკან. იმავე დღეს ჩავებით მძაფრ ბრძოლაში ფაშისტებთან, და ვიგრძენით კიდეც პირველი გამარჯვების გემო, სიტკბო და სიხარული მოსკოვთან.

შემდეგ იყო მკაცრი ბრძოლები მოჟაისკისთვის, კაშირისთვის, ისტრისთვის. ბათუმ აქ მიიღო პირველი ჯარისკაცური მედლები. 1942 წლის ივლისის ბოლოს, როდესაც მოსკოვში მოიხსნა საალყო მდგომარეობა, აქ მებრძოლი სამხედრო ნაწილები გადაისროლეს ლენინგრადის, დასავლეთისა და სამხრეთის ფრონტებზე. მამაც ჯარისკაცს მოუწია ბრძოლები სტალინგრადის ფრონტზეც და ჩრდილოეთი კავკასიის ფრონტზეც. ამ დროისთვის მას სამი ჭრილობა ჰქონდა მიღებული – ორი მოსკოვთან და ერთი სტალინგრადთან.

... ორმოცდასამი წლის დასაწყისში დაიწყო შეტევა ჩრდილოეთი კავკასიის მთელ ფრონტზე. მარტის პირველ რიცხვებში გაათავისუფლეს კრასნოდარი. როდესაც ბრძოლებით მიდიოდნენ მაიკოპის უღელტეხილზე, ბათუ იაკობაშვილმა კლდეზე აღმოაჩინა ქართული წარწერა, რომელიც, ეტყობა, მის მამაც თანამემამულეებს ეკუთვნოდა. ეს იყო შოთა რუსთაველის სიტყვები: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი!" ამ სიტყვებს ხმამაღლა კითხულობდა და თანაპოლკელებს უთარგმნიდა.

მაიკოპის მისადგომებთან ბათუმ მებრძოლებთან ერთად პირველად ჩაიგდეს ხელში ფაშისტური სულსახუთავი ავტომანქანები. თითოეული მათგანის შიგნით – მოხუცების, ქალებისა და ბავშვების გვამები იყო. საშინელი იყო ამ სურათის ყურება. როდესაც იმას იხსენებს, ბათუ იაკობაშვილს დღესაც ზარავს მაშინ ნანახი სურათები, მათ შორის ფაშისტი მფრინავის სიმხეცე უსუსურ გოგონასთან...

გაიხსენა ბათუ იაკობაშვილმა მოზდოკთან მძიმე ბრძოლაც. მორიგ შეტევაში ჩაერთო 2900-ზე მეტი მებრძოლი, ბრძოლის შემდეგ კი დარჩა მხოლოდ 12 კაცი. დაღუპულთა შორის ბევრი იყო ქართველიც. ვინ მოსთვლის რამდენი ასეთი შეტევა იყო ომის წლებში!

როსტოვთან მამაცმა ქართველმა მეომარმა მიიღო მეოთხე ჭრილობა (!ძ, დიდხანს იწვა ჰოსპიტალში. დღემდე ვერ დაუვიწყნია ბათუ იაკობაშვილს თავისი სანივთე ჩანთის დაკარგვა, რომელშიც დღიურს ინახავდა და სადაც, საშუალების შესაბამისად, იწერდა თავისი ფრონტული ცხოვრების პერიპეტიებს. დაიკარგა არა მხოლოდ დღიურები, არამედ აუცილებელი დოკუმენტებიც, წერილები სახლიდან...

ომის წლებში გამარჯვებათა სიხარულთან ერთად ბათუ იაკობაშვილმა დანაკარგების ტკივილიც განიცადა. მისი უფროსი ძმა ტრიფონი გმირულად დაიღუპა ომის დასაწყისში, ომიდან ვერ დაბრუნდა ვერც მისი მეორე ძმა ვასო. ომში დაიღუპა მისი რვა თანაკლასელიც, მეგობარი თანარპოლკელები: ქუთაისელი ავთანდილ თალაკვაძე, ზესტაფონელი რეზო წიგნაძე, ხარაგაულელი ლავრენტი ტალახაძე, ბევრი სხვაც – ჩამოთვლი განა ყველას...

ასეთია მოკლედ ბათუ (დავითძ კონსტანტინეს ძე იაკობაშვილის ჯარისკაცური ბიოგრაფია. მამაც ფრონტელ ჯარისკაცს არც მშვიდობიან პერიოდში აკლდა ჯილდოები – ის ორჯერ დააჯილდოვეს „საპატიო ნიშნის" ორდენით, დამოუკიდებელი საქართველოს საბრძოლო – ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით.

...ჩვენს სახელოვან თანამემამულეს ყოველწლიურად იწვევენ საპატიო სტუმრად მოსკოვში გამარჯვების დღის საზეიმო ღონისძიებებზე. და ყოველთვის ბატონი ბათუ უბრუნდება მოგონებებით იმ დაუვიწყარ დღეს – 1941 წლის 7 ნოემბრის პარადს, როდესაც უზარმაზარი ქვეყნის ბედი ბეწვზე ეკიდა, როდესაც ფაშისტები მთელ მსოფლიოში გაჰკიოდნენ საბჭოთა დედაქალაქის დაცემის შესახებ, როდესაც უკვე დაიბეჭდა საშვები მოსკოვში ჰიტლერულ პარადზე 1941 წლის 7 ნოემბერს, ახალი სააპარადო მუნდირებიც კი შეკერეს.

მაგრამ, როგორც ამბობენ, სწორედ ფაშისტების ცხვირწინ სამხედრო პარადი მოსკოვში მოაწყო სტალინმა. როდესაც საბჭოთა ჯარები მიადგნენ ბერლინს – 1945 წლის 16 აპრილს, ჰიტლერი სრულ პროსტრაციაში ჩავარდა, რამდენიმე ხნის შემდეგ კი, რაიხსტაგში საბჭოთა მეომრების გამოჩენამდე, თავი მოიკლა.

გამარჯვების პარადი კი ბერლინშიც და მოსკოვშიც გამართა სტალინმა. ბატონი ბათუ იაკობაშვილი, რომელიც დღესაც მწყობრშია, არის ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა თბილისის საქალაქო საბჭოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი. როგორც მაშინ, მას დღესაც მიაჩნია, რომ სტალინმა უმძიმესი ომის წლებში თავისი პირველი გამარჯვება ფაშისტებზე მოიპოვა სწორედ 1941 წლის 7 ნოემბერს, როდესაც მთელ მსოფლიოს აჩვენა თავისი ფოლადისებრი ხასიათი, ჩაუნერგა საბჭოთა მეომრებსა და მშრომელებს მტერზე საბოლოო გამარჯვების რწმენა. სტალინი ყველასთვის ფაშიზმზე გამარჯვების სიმბოლოდ იქცა!

**ლევან დოლიძე,**
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

ვიზიტი

# ევროპა თბილისს უმიზნებს



**საქართველოში ერთდღიანი ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდნენ ევროპის საუნივერსიტეტო სპორტის ასოციაციის პრეზიდენტი ალბერტო გალტიერი და ასოციაციის გენერალური მდივანი მათიას პეკოვნიკი, რომლებიც შეხვდნენ პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეს გიორგი ასანიძეს, სპორტის მინისტრ ვლადიმერ ვარძელაშვილს, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ გია ნაცვლიშვილს.** სტუმრებმა საქართველოს საუნივერსიტეტო ფედერაციის პრეზიდენტ ნიკოლოზ ამაშუკელთან ერთად დაათვალიერეს ყოფილი არმიის სასპორტო კლუბის დარბაზი, სადაც ახლა სარემონტო-აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს. ევროპის საუნივერსიტეტო სპორტის მესვეურებმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადეს, რომ ყოველწლიურად სხვადასხვა ქვეყანაში უამრავ ღონისძიებას მართავენ და ქართულ მხარესთან სწორედ ერთ-ერთი საერთაშორისო ტურნირის თბილისში ჩატარების საკითხიც განიხილეს. არ არის გამორიცხული, იდეას მალე შეესხას ფრთები.

**ლაშა დიდია**

ძიუდო

# მესაბლიშვილის „ბრინჯაო“




**კეიპტაუნში დაწყებულ ახალგაზრდა ძიუდოისტთა მსოფლიოს პირველობაზე 55 კილოგრამ წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედალი ახმეტელმა გიორგი მესაბლიშვილმა მოიპოვა. იგი შეჯიბრებაში მეორე წრიდან ჩაება, სადაც 58 წამში აჯობა კანადელ მაჰდი ზებირს და შემდეგ იაპონელ რიოჯი იზუტანის დაუპირისპირდა.** ძირითადი და დამატებითი დრო ფრედ დამთავრდა, ხოლო მსაჯებმა უპირატესობა ქართველს მიანიჭეს. მესამე შეხვედრა მან ბელგიელ გერტ მესს მოუგო, ნახევარფინალი კი რუს სახავატ გაჯიევთან დათმო. სამაგიეროდ, ბრინჯაოს მედლისთვის პაექრობაში მისი თანამემამულე ივან ზვერევი დაჯაბნა და, როგორც აღვნიშნეთ, მესამე ადგილზე გავიდა.

**გივი გაგუა**

კალათბურთი

# აი, მონაგარი!



**ევროლიგის ჯგუფური რაუნდის მესამე ტურში ქართველმა ლეგიონერებმა შედეგიანობის რეკორდი გააუმჯობესეს — სამმა მათგანმა 44 ქულა მოაგროვა.**

ამაგი განსაკუთრებით იტალიური „კანტუს“ „ჯვაროსნებს“ გიორგი შერმადინსა (16 ქულაძ და მანუჩარ მარკოიშვილს (12 ქულაძ დაუფასდათ, რომელთა პირადმა წვლილმაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა ბასკური „ბილბაოს“ წაქცევა — 78:69.

ქებას იმსახურებს, უკვე მერამდენედ, ბელგიური „შარლერუას“ სასტარტო ხუთეულის ახალგაზრდა წევრი თორნიკე შენგელიაც, რომელმაც ბელგრადში „პარტიზანთან“ წაგებულ ბრძოლაში ივაჟკაცა (16 ქულაძ — 81:91.

**მორიგი სათამაშო დღის სრული შედეგები:**

**„ა“ ჯგუფი.** „კანტუ“ — „ბილბაო“ 78:69, „ტაუგრესი“ — „ოლიმპიაკოსი“ 81:79, „ფენერბახჩე“ — „ნანსი“ 90:86.

„ტაუგრესი“ — 3, „კანტუ“ — 2, „ბილბაო“, „ფენერბახჩე“, „ოლიმპიაკოსი“, „ნანსი“ — 1-1 მოგება.

**შემდეგი ტური:** „ბილბაო“ — „ფენერბახჩე“, „კანტუ“ — „ოლიმპიაკოსი (9 ნოემბერიძ, „ნანსი“ — „ტაუგრესი“ (10 ნოემბერიძ

**„ბ“ ჯგუფი.** „ბროზე“ — „უნიკახა“ 78:79, „ზაგრები“ — ცსკა 47:89.

ცსკა — 3, „პანათინაიკოსი“, „უნიკახა“ — 2-2, „ბროზე“ — 1, „ჟალგირისი“, „ზაგრები“ — 0-0 მოგება.

**შემდეგი ტური:** „უნიკახა“ — „ზაგრები“ (9 ნოემბერიძ, „ჟალგირისი“ — „ბროზე“, „პანათინაიკოსი“ — ცსკა (10 ნოემბერიძ.

**„გ“ ჯგუფი.** „მაკაბი“ — „რეალი“ 88:82, „მილანი“ — „ეფეს პილსენი“ 54:62, „პარტიზანი“ — „შარლერუა“ 91:81.

„რეალი“, „მაკაბი“, „ეფეს პილსენი“ — 2-2, „მილანი“, „შარლერუა“, „პარტიზანი“ — 1-1 მოგება.

**შემდეგი ტური:** „ეფეს პილსენი“ — „მაკაბი“, „შარლერუა“ — „მილანი“, „პარტიზანი“ — „რეალი“ (10 ნომბერიძ.

**„დ“ ჯგუფი.** „მონტეპასკი“ — „გალათასარაი“ 103:77, „უნიქსი“ — „ბარსელონა“ 65:93, „ოლიმპია“ — „პროკომი“ 70:62.

„ბარსელონა“, „მონტეპასკი“ — 3-3, „გალათასარაი“, „უნიქსი“, „ოლიმპია“ — 1-1, „პროკომი“ 0 ქულა.

**შემდეგი ტური:** „ოლიმპია“ — „გალათასარაი“, „პროკომი“ — „უნიქსი“ (9 ნოემბერიძ, „ბარსელონა“ — „მონტეპასკი“ (10 ნოემბერიძ.

ჭადრაკი

# სტარტი — დანაკარგებით

**ბერძნულ პორტო კარასში მიმდინარე ევროპის გუნდურ ჩემპიონატში ქალთა 28 და ვაჟთა 38 ნაკრები მონაწილეობს. შეჯიბრების ფავორიტებად მანდილოსნებში რუსეთს, უკრაინას, საქართველოს და სომხეთს მიიჩნევენ, ხოლო მამაკაცებში — რუსეთს, უკრაინას, აზერბაიჯანს, სომხეთსა და ბულგარეთს.** არც არის გასაკვირი, რადგან ამ გუნდებში მსოფლიო კლასიფიკაციით საუკეთესო დიდოსტატები თამაშობენ. აღსანიშნავია ისიც, რომ 2009 წლის ჩემპიონატზე ქალებში რუსეთმა და საქართველომ, შესაბამისად, პირველ-მეორე ადგილები გაინაწილეს, მესამე ადგილი კი უკრაინას ერგო. რაც შეეხებათ ვაჟებს, საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: აზერბაიჯანი, რუსეთი, უკრაინა. ყოველივეს მიუხედავად, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჭადრაკის დონე ბევრ ქვეყანაში საგრძნობლად ამაღლდა და სარეიტინგო ფავორიტობით ფონს გასვლა იოლი არ იქნება. ეს ევროპის ჩემპიონატის პირველმა ტურმაც დაადასტურა.



საქართველოს ქალთა ნაკრებმა აზერბაიჯანის საშუალო დონის გუნდს მხოლოდ 2,5:1,5 მოუგო (ლელა ჯავახიშვილი — ზეინაბ მამედიაროვა 0:1, ნინო ხურციძე — გულნარ მამადოვა 1:0, ნაზი პაიკაძე — ნარმინ კაზიმოვა 1:0, სალომე მელია — ტურკან მამედიაროვა 0,5:0,5ძ. ასეთივე ანგარიშით სძლია უკრაინამ საბერძნეთს, სომხეთმა სულაც ფრედ დაამთავრა შეხვედრა ჩეხეთთან — 2:2, აი, რუსეთმა კი ისრაელი 3:1 დაამარცხა.

სამწუხაროდ, ცუდად დაიწყეს ტურნირი საქართველოს მოჭადრაკე ვაჟებმა — სტარტზე მათ თურქებთან წააგეს — 1,5:2,5 (ლევან ფანცულაია — მუტაფა ილმაზი 1:0, მიხეილ მჭედლიშვილი — ემრე ქანი 0:1, მერაბ გაგუნაშვილი — ქემილ ალი მარანდი 0,5:0,5, ვაჰაფ სანალი — დავით ზარქუა 1:0ძ. რუსეთი — მოლდოვა 2,5:1,5, აზერბაიჯანი — იტალია 2,5:1,5, უკრაინა — სლოვენია 3,5:0,5.

**ლექსო ცინცაძე**

ინტერნეტიდან

## ჯონ ტერი — რასისტი?

**ლონდონის პოლიციამ ოფიციალური გამოძიება დაიწყო ცნობილი ფეხბურთელის, ლონდონის „ჩელსის“ კაპიტნის ჯონ ტერის წინააღმდეგ „ქუინზ პარკ რეინჯერსის“ მოთამაშის ანტონ ფერდინანდის მიმართ რასისტული გამოთქმის გამო, რისთვისაც, თითქოს, მას გულშემატკივრები უჩიოდნენ.**

ბრალდება დაფუძნებულია მატჩის ტრანსლაციის ვიდეო გამეორებაზე, სადაც თითქოსდა ისმის, თუ ტერი როგორ შეურაცხყოფს იამაიკელ ფერდინანდს. თავად 30 წლის ფეხბურთელი — „ჩელსის“ მცველი უარყოფს ასეთ მტკიცებას.

„მე არასოდეს მივცემდი თავს ასეთი გამოთქმის უფლებას. და ძალზე მწყინს, ხალხმა ასეთი რამ რომ იფიქრა ჩემზე“, — განაცხადა ფეხბურთელმა. მისი თქმით, მას საკუთარი აზრი აქვს იმ ეპიზოდზე, მაგრამ თავს იკავებს გამოძიების დამთავრებამდე.

ამ ეპიზოდს იძიებს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციაც. თუ გახსოვთ, ინგლისის პრემიერ-ლიგის იმ მატჩში 23 ოქტომბერს, მსაჯმა შეხვედრის პირველსავე წუთებზე, „არისტოკრატები“ მინდორზე მხოლოდ ცხრა დატოვა. ფეხბურთის ექსპერტების აზრით, ორივე გაძევება აბსოლუტურად უსამართლო იყო, რამაც მინდორზე უზომო დაძაბულობა გამოიწვია.

## სერენა უილიამსი შეაშინეს

**მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგბანოსანმა ქალმა სერენა უილიამსმა, ლოს-ანჟელესში თავის სახლში რომ ცხოვრობს, მძარცველად მიიჩნია მასთან მისული დოპინგ-ოფიცერი და პოლიცია გამოიძახა.**

დილის 6 საათზე სერენამ დარეკა მაშველთა სამსახურში და შეატყობინა, რომ მის სახლში შესვლას ცდილობს უცნობი მამაკაცი. თვითონ კი მიიმალა „თავდაცვის ოთახში“.

როგორც ამბობენ, ეს სქელკედლიანი ოთახები აღჭურვილია მობილური ტელეფონებით, ვიდეოკამერებით, პორტატული კომპიუტერით და სპეციალური, ჩაურეცხავი ხსნარით სავსე ბალონებით, რომლითაც თავდამსხმელს „ნიშნავენ“.



სერენას სახლში მისულმა პოლიციამ გამოარკვია, რომ უცნობი იყო დოპინგ-ოფიცერი, რომელიც სპორტსმენის შარდის ანალიზისთვის მისულიყო.

გაირკვა, რომ დოპინგთან მებრძოლებს პრაქტიკაში ჰქონიათ სპორტსმენებთან მოულოდნელი ვიზიტი, რათა ანალიზები აილონ ობიექტურად და საშუალება არ მისცენ მათ წინასწარი მომზადებისთვის.

ფეხბურთი

# მხოლოდ შედეგები

**გაიმართა ევროპის ლიგის ჯგუფური რაუნდის IV ტურის შეხვედრები. გაუწყებთ მათ შედეგებს.**

**„ა“ ჯგუფი.** „რუბინი“ — „ტოტენჰემი“ 1:0, „შემროკი“ — პაოკი 1:3.

პაოკი — 8, „რუბინი“, „ტოტენჰემი“ — 7-7, „შემროკი“ — 0 ქულა.

**30 ნოემბერს ითამაშებენ:** „რუბინი“ — „შემროკი“, „ტოტენჰემი“ — პაოკი.

**„ბ“ ჯგუფი.** „კოპენჰაგენი“ — „ჰანოვერი“ 1:2, „ვორსკლა“ — „სტანდარდი“ 1:3.

„სტანდარდი“, „ჰანოვერი“ — 8-8, „კოპენჰაგენი“ — 4, „ვორსკლა“ — 1 ქულა.

**30 ნოემბერს ითამაშებენ:** „ვორსკლა“ — „კოპენჰაგენი“, „სტანდარდი“ — „ჰანოვერი“.

**„გ“ ჯგუფი.** „ეინდჰოვენი“ — „ჰაპოელი“ 3:3, „ლეგია“ — „რაპიდი“ 3:1.

„ეინდჰოვენი“ — 10, „ლეგია“ — 9, „რაპიდი“ — 3, „ჰაპოელი“ — 1 ქულა.

**30 ნოემბერს ითამაშებენ:** „რაპიდი“ — „ჰაპოელი“, „ლეგია“ — „ეინდჰოვენი“.

**„დ“ ჯგუფი.** „ვასლუი“ — „სპორტინგი“ 1:0, „ლაციო“ — „ციურიხი“ 1:0.

„სპორტინგი“ — 9, „ვასლუი“, „ლაციო“ — 5-5, „ციურიხი“ — 2 ქულა.

**30 ნოემბერს ითამაშებენ:** „სპორტინგი“ — „ციურიხი“, „ვასლუი“ — „ლაციო“.

**„ე“ ჯგუფი.** „ბეშიქთაში“ — „დინამო“ (კიევიძ 1:0, „მაკაბი“ — „სტოკი“ 1:2.

„სტოკი“ — 10, „ბეშიქთაში“ — 6, „დინამო“ (კიევიძ — 5, „მაკაბი“ — 1 ქულა.

**30 ნოემბერს ითამაშებენ:** „სტოკი“ — „დინამო“ (კიევიძ, „მაკაბი“ — „ბეშიქთაში“.

**„ვ“ ჯგუფი.** „ზალცბურგი“ — „ბილბაო“ 0:1, „პარი სენ-ჟერმენი“ — „სლოვანი“ 1:0.

„ბილბაო“ — 10, „პარი სენ-ჟერმენი“ — 7, „ზალცბურგი“ — 4, „სლოვანი“ — 1 ქულა.

**30 ნოემბერს ითამაშებენ:** „ბილბაო“ — „სლოვანი“, „ზალცბურგი“ — „პარი სენ-ჟერმენი“.

**„ზ“ ჯგუფი.** „მეტალისტი“ — „მალმიო“ 3:1, „აუსტრია“ — „ალკმაარი“ 2:2.

„მეტალისტი“ — 10, „ალკმაარი“ — 6, „აუსტრია“ — 5, „მალმიო“ — 0 ქულა.

**30 ნოემბერს ითამაშებენ:** „მალმიო“ — „ალკმაარი“, „მეტალისტი“ — „აუსტრია“.

**„თ“ ჯგუფი.** „ბრაგა“ — „მარიბორი“ 5:1, „ბრიუგე“ — „ბირმინგემი“ 2:2.

„ბრაგა“, „ბრიუგე“, „ბირმინგემი“ — 7-7, „მარიბორი “ — 1 ქულა.

**30 ნოემბერს ითამაშებენ:** „ბრაგა“ — „ბირმინგემი“, „მარიბორი“ — „ბრიუგე“.

**„ი“ ჯგუფი.** „ატლეტიკო“ — „უდინეზე“ 4:0, „სელტიკი“ — „რენი“ 3:1.

„ატლეტიკო“, „უდინეზე“ — 7-7, „სელტიკი“ — 5, „რენი“ — 2 ქულა.

**30 ნოემბერს ითამაშებენ:** „რენი“ — „უდინეზე“, „სელტიკი“ — „ატლეტიკო“.

**„კ“ ჯგუფი.** „შალკე“ — „ლარნაკა“ 0:0, „სტიაუა“ — „ჰაიფა“ 4:2.

„შალკე“ — 8, „ჰაიფა“ — 6, „სტიაუა“ — 5, „ლარნაკა“ — 2 ქულა.

**30 ნოემბერს ითამაშებენ:** „შალკე“ — „სტიაუა“, „ლარნაკა“ — „მაკაბი“.

**„ლ“ ჯგუფი.** „ტვენტე“ — „ოდენსე“ 3:2, „ფულჰემი“ — „ვისლა“ 4:1.



„ტვენტე“ — 10, „ფულჰემი“ — 7, „ოდენსე“, „ვისლა“ — 3-3 ქულა.

**30 ნოემბერს ითამაშებენ:** „ოდენსე“ — „ვისლა“, „ტვენტე“ — „ფულჰემი“.

**„მ“ ჯგუფი.** „ანდერლეხტი“ — „შტურმი“ 3:0, აეკი-„ლოკომოტივი“ — 1:3.

„ანდერლეხტი“ — 12, „ლოკომოტივი“ — 9, „შტურმი“ — 3, აეკი — 0 ქულა.

**30 ნოემბერს ითამაშებენ:** აეკი — „ანდერლეხტი“, „ლოკომოტივი“ — „შტურმი“.

## ეპიტაფია



თამაზ მიხეილის ძე შაიშმელაშვილი დაიბადა და აღიზარდა სახელგანთქმული პედაგოგების ოჯახში.
ამთავრებს ოქროს მედალზე რკინიგზის №3 საშუალო სკოლას. წარმატებით აბარებს გამოცდებს და...
მოეწყობა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სატრანსპორტო ფაკულტეტზე – ხიდები და გვირაბები.
არის წარჩინებული სტუდენტი, გამორჩეული ნიჭიერებით, გატაცებული სპორტით და ხელოვნებით.
ზრდილი და კეთილშობილი, მადლცხებულია ლიდერის თვისებებით. თავმდაბლობა და პატიოსნება
შესისხლხორცებული ჰქონდა მშობლებისგან. შეეძლო ერთი წაკითხვით ან მოსმენით ესწავლა საგნები.
ახლად ინსტიტუტდამთავრებული იწყებს ხანგრძლივ და მეტად ნაყოფიერ შრომით მოღვაწეობას.
ის თავის მომავალს და ბედს სამუდამოდ უკავშირებს საქართველოს საავტომობილო გზების სისტემას.
შარაგზების მთავარი სამმართველოს ინჟინერი, სამუშაოთა მწარმოებელი, სამშენებლო სამმართველოს
მთავარი ინჟინერი, ტრანსპორტისა და ს/გზების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსი, კოლეგიის წევრი,
ერთი რიგითი ინჟინრიდან ხდება საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.
ლამის ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე გაფენილია მისი უშუალო მონაწილეობით დაპროექტებული და
აშენებული მაგისტრალები და საინჟინრო-ხელოვნური ნაგებობები. ამ წლებში ყალიბდება იგი, როგორც
შესანიშნავი სპეციალისტი, უაღრესად კომპეტენტური ექსპერტი, შეუცვლელი ხელმძღვანელი მუშაკი.
ჯალმოსილი ქვეყნის წინაშე, ჯილდოვდება ღირსების მედლით, ორდენით. არის საქართველოს დამსახურებული მშენებელი.
ივლიან თაობები ქ. გაგრის, ქ. ფოთის შემოვლითი გზებით, გადაივლიან ხიდებს და მშენებლის ტალანტს შეიგრძნობენ უთუოდ!..
ლამაზი ოჯახის შემქმნელი ეთაყვანებოდა მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს, ძმას, ნათესავ-მეგობრებს.
იცხოვრა ისე, როგორც დიდ მამულიშვილს შეეფერებოდა, ნათელში ამყოფოს მისი სული უფალმა, ამინ!

ოჯახი

## წიგნი-ალსარება

**წიგნი-ალსარება – თამამად შეიძლება ეწოდოს ნანა წითელაშვილის რომანს „ცრემლები კვიპაროსებზე“.**

**„ჩვენი, ქართველთა და აფხაზთა სატკივარი სწორედ იქ დევს, სადაც გაუკუღმართებულმა პოლიტიკოსთა სიბეცემ, თუ სხვა ფარსაგმა სათავე დაუდო ურთიერთგაუცხოებისა და სიძულვილის ნაკადს.**

**ამავე ჭრილში ვხედავ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში დაშვებულ საუკუნოვან შეცდომებს, რომელიც კარგად გამოიყენეს ბნელმა ძალებმა და საბოლოოდ ჩატეხეს ხიდი ორ ქვეყანას შორის.**

**ახლა, როცა გამოიტანჯა ძალა დიდი სიყვარულისა, ისევ ამ სიყვარულს გამოვუხმობ ჭრილობათა გასამრთელებლად“, – წერს ავტორი წინასიტყვაობაში.**

## „აფხაზეთო, ამ დახლეჩილ მოგონებებს მხოლოდ შენთან დაბრუნება გაამთელებს!“

მართლაც, ეს წიგნი ჭრილობათა სალბუნია, რომელსაც ცრემლიანი სიყვარული ასაზრდოებს. ეს არის ფიქრები 9 აპრილიდან... მომავლის აპრილამდე, და ამ ფიქრებში აფხაზეთის სისხლიანი კვართი რიალებს... მდინარე გუმისთას აქეთ ჩვენი ბიჭები დგანან. იქითაც ჩვენები არიან, ოღონდ გაუცხოებულნი... „აფხაზი, ერთ დროს ქართველი, ერთ დროს ძმა და ღვიძლი. ახლა ორგული“... ახლა მხოლოდ ალმოდებული სოხუმი და საბედისწერო უღელტეხილია – ჭუბერის გზაა – გულმოკლული კაცების ღიმილით, გუმბათმორღვეული ადამიანების წუხილით სავსე...

ეს არის პუბლიცისტური კადრები, წიგნად აკინძული... ომზე, ეს არის ფრონტის წინა ხაზზე გასული ავტორის განცდები, რომელიც ჩაძინებული ქართველი მეომრების სუნთქვას უსმენს, სდარაჯობს და ჩვენს მომავალს უნახავს... ისევ და ისევ მომავლისთვის...

მდინარის ნაპირზე ბატალიონის ნატყვიარი ორხევის ბიჭები წვანან. მზესუმზირასავით ეფინება მათ სხეულებს. „მზე ერთადერთი ჭირისუფალია და მოტირალი. ღია თვალები, გულში ჩაკრული ავტომატები, შეხსნილი ბაგეები და გულზე მუქი სისხლის შემხმარი ლაქები. სატვირთო მანქანა მიაყენეს, სათითაოდ უსინჯავენ გულისპირზე ჯიბეებს, ხმამაღლა კითხულობენ გვარებს. ძნელია ამის ფირზე აღბეჭდვა, მაგრამ ვიცი, ეს უსიცოცხლო სხეულები, თვალღია სახეები ოდესმე სანატრელი ექნებათ მათ ჭირისუფლებს... მდინარის პირას ჩამხობილი ბიჭის სხეულია, – სახით სანახევროდ წყალშია. მზის სხივები ციმციმებს წყალში, ბიჭის სახეს აირეკლავს სარკესავით მეტყველი დინება... ბიჭები ამოჰყავთ, მინდორზე აწვენენ“...

მძაფრია განცდა, მით უფრო რომანის გმირისთვის, ვისაც მეუღლე და ძმა სწორედ ამ ომმა წაართვა. წიგნიც მეუღლის – ვლადიმერ ერმაკოვისა და ძმის – გოჩა წითელაშვილის ხსოვნას ექძვნება. მეუღლე




რუსი იყო – ლადო ჰქვია რომანში. „ორი რამ გამაჩნია სიცოცხლის ფასი: შენ და საქართველო... დაბადებიდან – უსასრულობამდე. საითაც უნდა მომისროლოს დრომ და სინამდვილემ, ქართველი ვარ. ამ ცის ცვარად, ამ მიწად ვიქცევი და ჩემი სიმშვიდეც ამაშია“, – ეუბნებოდა მეუღლეს... ახლა მხოლოდ ფოტოსურათებიღა დარჩა – „ნაცრემლარი ავგაროზები“.

„ვისაც ეს ტკივილი არ განუცდია, ვის ოჯახზეც და გულზედ არ გადაუვლია ამ უბედურებას, ის ვერ გაიგებს, რას ყვება კვიპაროსი... რატომ ციმციმებს წამი და რატომ იკინძება ცრემლებად კვიპაროსებზე წვიმის წვეთები“.

ავტორი აფხაზეთის „მწუხარების ჭირისუფალია“, აფხაზეთისა, რომელიც მაშინ დაიკარგა, ქვაშვეთის დაცხრილული გუმბათი ჯვარზე გაკრული მაცხოვარივით რომ მოჩანდა. და დასკვნა შემზარავი: „აფხაზეთი გვირგვინია ჩვენი სიძულვილისა“... რა მოხდა მაინც, – კითხულობს ავტორი, – თავს მოგვახვიეს უბედურება თუ ჩვენი უმეცრებით დატრიალდა ბედის ბორბალი, „ჩარხი, რომელმაც ძვლებიანად დაფქვა თაობა, რომელიც აღარ დაიბადება?“

„სად არის საქართველო? მიწისქვეშ? მიწის ზევით, აქ, სადაც ცოცხალი საქართველოა? თუ იქ, ზეციურში?“ პასუხები არ ჩანს, პასუხები ქარში იკარგება. რაღა მაინც და მაინც ჩვენთვის აღმოჩნდა თავისუფლებისაკენ მიმავალი გზა ურთულესი? რატომ უნდა გაგვეღო ამდენი სისხლი და მსხვერპლი?

„ციხე-ქალაქში ბიჭები დებენ სიცოცხლეს, სურამის ციხის აზრი ზურაბია. ისინი ქვათა ნაკრებს ისევე აძლევენ აზრსა და ხსოვნას, როგორც ზურაბი სურამის ციხეს. ამიტომ წყდება აფხაზეთში საქართველოს ბედი. ვინ იცის, იქნებ აფხაზეთში სხვათა ბედიც დევს, იქნებ საქართველო ეზიდება უმძიმეს დოლაბს, გვემისა და ჭირთა თმენის უმძიმეს ქვას“.

ჯერ კი, ისევ სისხლი ჟონავს ჭრილობებიდან და ნელ-ნელა ფიქრებსა და სიზმრებში მაინც ვიბრუნებთ ჩვენს აფხაზეთს, ვიბრუნებთ ჩვენი ცოდვების მონანიებით, მიტევებით, და გვინდა, რომ მთელი სამყაროს გასაგონად შევუძახოთ: აფხაზეთი ისევე წარმოუდგენელია უაფხაზეთოდ, როგორც უქართველოდ... ჩვენ ძმები ვართ, ჩვენ ერთმანეთი სიყვარულით უნდა დავიბრუნოთ!

ეს ცრემლებიც კვიპაროსებზე სასოებაა უფლისგან მოვლენილი. ვკითხულობ წიგნს და მინდა აფხაზებმაც დაინახონ ეს ცრემლები, მინდა მათაც მისწვდეთ ავტორის გოდება-სასოება: „ოოო, აფხაზეთო, ამ დაჩეხილ მოგონებებს მხოლოდ შენთან დაბრუნება გაამთელებს“... და სული ქართვლის დედისა, რომელიც ყვავილებს აწყობს ძმათა სასაფლაოზე.

**თამარ შაიშმელაშვილი**

## სიახლე

### ლილოში იუსტიციის სამინისტროს არქივი გაიხსნა

**დოკუმენტაციის** უსაფრთხო შენახვისა და დაცვისათვის განკუთვნილი თანამედროვე შენობა, რომლის საერთო ფართი 3 000 კვ/მეტრია, იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გიორგი ვაშაძემ გახსნა.

როგორც გიორგი ვაშაძემ განაცხადა, აღნიშნულ შენობაში თავმოყრილია ეროვნულ არქივში, საჯარო რეესტრსა და ნოტარიუსთა პალატაში დაცული ქაღალდის დოკუმენტები. ისინი თანამედროვე დიზაინის, რელსებზე მოძრავ სტელაჟებზეა განთავსებული, მათი დაცვის რეჟიმი კი აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს. გაიოლებულია ინფორმაციის მოძიების სისტემაც, რაც იუსტიციის სამინისტროს სამსახურების სერვისებს მოქალაქეებისათვის უფრო მარტივს, კომფორტულს და ხელმისაწვდომს გახდის.

ახალ საცავებში განთავსებულ საარქივო მასალებს შორის არის ე.წ. ტექბიუროს არქივი, რომელიც ხშირ შემთხვევაში უძრავ ქონებაზე უფლების რეგისტრაციის ერთადერთი საფუძველია. მათი უმრავლესობა საკმაოდ ძველია, რის გამოც არსებობდა დოკუმენტების განადგურების საფრთხე. ამიტომ 2006 წლიდან საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაიწყო არსებული დოკუმენტაციის სკანირება და ელექტრონულ ფორმატში გადატანა.

ელექტრონული დოკუმენტაცია ყველასათვის ხელმისაწვდომია, ქაღალდის ვერსიის გამოყენების საჭიროება კი მხოლოდ დოკუმენტის ჩანაწერებში ეჭვის შეტანის შემთხვევაში დგება.

არქივის ახალ შენობაში სრულად განთავსდა ნოტარიუსთა პალატაში დაცული სანოტარო აქტებიც. დოკუმენტაციის ელექტრონულ ბაზაში შეტანა 2010 წლის სექტემბრიდან დაიწყო. ამჟამად დასრულებულია სამემკვიდრო საქმეებისა და ანდერძების ელექტრონული რეესტრი, სადაც დარეგისტრირებულია 2000-მდე ანდერძი და 440 000-მდე სამკვიდრო მოწმობა.

იუსტიციის სამინისტროს არქივის შენობა აღჭურვილია დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით, რაც დოკუმენტაციის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.

## ფაქტი

### ზუგდიდის სიახლოვეს მატარებელი „ფიატის“ მარკის ავტომობილს დაეჯახა

**ზუგდიდის** სიახლოვეს სატრანსპორტო შემთხვევა მოხდა. ქალაქის სადგურიდან გამოსული მატარებელი „ფიატის“ მარკის ავტომობილს დაეჯახა, რომელიც ლიანდაგს კვეთდა. თვითმხილველები ყვებიან, რომ სარკინიგზო ხაზზე გადასვლისას მანქანას ძრავა ჩაუქრა. ავტომობილში ხუთი ადამიანი იჯდა. სამმა გადმოსვლა მოასწრო, მძღოლი და ერთი მგზავრი კი ავტომობილში დარჩნენ.

დაჯახების შემდეგ მატარებელმა მანქანა რამდენიმე ათეული მეტრის მანძილზე ათრია. ავტომობილში მსხდომნი შეჯახების შედეგად დაშავდნენ და ისინი ზუგდიდის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ავტომობილს ბენზინის ავზი დაუზიანდა და გაჩნდა მისი აფეთქების საშიშროებაც, ამიტომ ადგილზე საგანგებო სამსახური იყო მობილიზებული.

ინტერპრესნიუსი

## ინფორმაცია

### ლოტკინის დასახლებაში მომხდარი მკვლელობა გახსნილია

**თბილისში** ლოტკინის დასახლებაში მომხდარი მკვლელობა გახსნილია. სამართალდამცავებმა 26 წლის გელა ვარძელაშვილის მკვლელობაში ეჭვმიტანილი დააკავეს.

დაკავებულიც 26 წლისაა, თუმცა შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ დაკავებულის ვინაობის შესახებ ინფორმაციას მოგვიანებით გაავრცელებენ.

მკვლელობა ლოტკინზე გამთენიისას მოხდა.

გავრცელებული ინფორმაციით, უბანში მეგობრები ალკოჰოლურ სასმელს სვამდნენ, როდესაც მათ შორის შელაპარაკება მოხდა.

გულ-მკერდის არეში გელა ვარძელაშვილს ბასრი იარაღით ჭრილობები მიაყენეს, რის შედეგადაც ის ადგილზე დაიღუპა.

ინტერპრესნიუსი

⊙ მიმართვა მკითხველისადმი

# ჩვენ ერთმანეთი უნდა გადავარჩინოთ!

ძვირფასო მკითხველო, თქვენ ეს კარგად იცით, მაგრამ 2011 წლის ბოლოს, ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერის გააქტიურების ჟამს, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ:

„საქართველოს რესპუბლიკა“ ერთადერთი გამოცემაა, რომელიც ძირითადად ქვეყნის ყველა კუთხიდან გამოგზავნილ მკითხველთა წერილებით იქმნება. ამიტომაც ჩვენს გაზეთს ყველაზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.



დიდი მადლობა ასეთი გულწრფელი თანადგომისთვის.

ეს ფაქტი იმაზეც მეტყველებს, რომ „საქართველოს რესპუბლიკა“ ყველაზე სანდო, პრინციპული და სიმართლისმოყვარე ხალხისთვის შექმნილი გაზეთია.

„საქართველოს რესპუბლიკა“ თითქმის საუკუნოვანი (გამოდის 1918 წლიდანძ გამოცემაა და თავისუფლებისთვის, დამოუკიდებლობისთვის, ეროვნული ღირსებისა და ცნობიერების გადარჩენისთვის მებრძოლი გაზეთია!

იგი ჩვენი უახლოესი წარსულისა და დღევანდელობის მართალი მატიანეა.

პოლიტიკა, ეკონომიკა, სოციალური ყოფა, კულტურა და სპორტი, ღირსეულ ადამიანთა პატივგება, სატირა და იუმორი... „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე ყველაფერია, რაც კი ჟურნალისტის კალამმა შეიძლება შექმნას.

წინ ნოემბერი და დეკემბერია... ამიტომაც, ვისაც ჯერ კიდევ არ გამოგიწერიათ „საქართველოს რესპუბლიკა“, შეგახსენებთ, რომ 2012 წლისთვის უამგაზეთოდ არ დარჩეთ. თითოეულ ქართულ ოჯახს, სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებს, უნივერსიტეტებსა და სკოლებს, ყველას, ყველას, ყველას, შეუზღუდავად შეგიძლიათ გამოიწეროთ ჩვენი გაზეთი და მთელი წლის განმავლობაში შეუფერხებლად ითანამშრომლოთ „საქართველოს რესპუბლიკასთან“.

**შეგახსენებთ იმ გამავრცელებელ ორგანიზაციებს და მათს ტელეფონის ნომრებს, რომლებიც დაუბრკოლებლად გამოგიწერენ ყოველდღიურ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“: მაცნე – 2 37 61 53; პლანეტა ფორტე – 2 93 38 75; საქპრესა – 2 51 59 05; პრესექსპრესი – 2 96 23 11; ჯეომედია – 2 95 51 70; ელვასერვისი – 2 38 80 02; ინფო-2007 – 2 34 11 40; პრესა+ – 2 14 23 97; პილონი – 2 34 77 43.**

**რაიონებში ხელმოწერის გაფორმება შეგიძლიათ პრესის გამავრცელებელ ნებისმიერ ორგანიზაციაში.**

**ხელმოწერის ფასია 10 ლარი – ერთი თვით, 30 ლარი – სამი თვით, 60 ლარი – ექვსი თვით, 120 ლარი ერთი წლით.**

ჩვენ ერთმანეთი უნდა გადავარჩინოთ და საქართველო ავაღორძინოთ!

**გამოიწერეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ – თქვენი უპირველესი მეგზური და მეგობარი!**

ჩვენო ძვირფასო მაღალგემოვნებიანო მკითხველო, ვინც „საქართველოს რესპუბლიკას“ ენდობი

მიდი, ჯიხურში ყოველდღე
ჩვენი გაზეთი იკითხე,
თუ ჭურში ჯდომა არ გინდა,
შეიძინე და იკითხე!..

ხოლო გამოწერა
თვეში სულ
10 ლარი
დაგიჯდება, სამაგიეროდ
ყოველ დილით
ცინცხალ ნომერს მიიღებ!..

⊙ სულიერება

# წმიდა მოციქული იაკობი



**5 ნოემბერს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია წმინდა მოციქულს იაკობს იხსენიებს.**

...ცნობილია, რომ იაკობი იყო იოსების ძე, ის თან ახლდა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს, როცა მარიამი ჰეროდეს რისხვას განერიდა და ყრმა იესოსთან და იოსებთან ერთად ეგვიპტეში გაიქცა.

...მაცხოვრის ქადაგების შემდეგ, წმინდა იაკობმა ირწმუნა განკაცებული ძე ღვთისა და სამოცდაათ რჩეულ მოწაფეთა შორის შეირაცხა.

წმიდა იაკობ მოციქული 30 წლის განმავლობაში მწყემსმთავრობდა. მისი ქადაგებით მრავალი ებრაელი გაქრისტიანდა, რამაც იუდეველ უხუცესთა შური გამოიწვია.

...ერთხელ, როცა რომაელი მმართველი იერუსალიმიდან გავიდა, ქრისტეს მტრებმა შემთხვევით ისარგებლეს და მღვდელმთავარი იაკობი მოკლეს.

წმიდა მოციქულ იაკობს ეკუთვნის ახალი აღთქმის წიგნებში ჩართული ზოგიერთი ეპისტოლე; მასვე შეუქმნია საღვთო ლიტურგიის ტიპიკონი.

* * *

**დღეს, 5 ნოემბერს დიმიტრის შაბათია, მიცვალებულთა ხსენება.**

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II „ბრძანებს“: „...უნდა გვახსოვდეს, რომ არსებობს როგორც ღვთაებრივი, ისე ადამიანური ენერგია, როცა ეს ენერგია არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს, როცა ისინი ერთი მიმართულებით მიდიან, ადამიანი დგას კეთილ გზაზე, დგას ცხოვრების გზაზე და იგი მიდის ღმერთთან, უახლოვდება ღმერთს...“

**გიული ლიპარტია**

## მილოცვა



*დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო უმშვენიერესო და უსაყვარლესო შვილო და შვილიშვილო ანანო, წარმატებები ნუ მოგკლებოდეს სწავლა-განათლებაში, ქართული ცეკვის ჯადოქარი გამხდარიყავი, იხარე და იდღეგრძელე!*

რამინ, ნანული აბლოთიები,
ჯემალ, ირინა გაბისონიები.

განცხადება

ვიმუშავებ ძიძად სკოლის ასაკის ბავშვთან, შევასწავლი ინგლისურს და სხვა საგნებს.
ტელ: 239-30-05, 593 660-226. მარინა

მოვუვლი მოხუცებულს, შევასრულებ ექთნის მოვალეობას და საოჯახო საქმეს.
ტელ: 239-30-05, 593 660-226. მარინა

⊙ ჟინჟარსიტყვა

## განცხადება-პარადოქსი

გავრისკავდი და ერთ
სათქმელს ვცდიდი,
ეგების მერე მიზანშიც მოხვდეს!
– საქმე იმგვარად სულ
ცუდად მიდის,
რომ არ არსებობს,
კარგი არ მოხდეს...

**რამაზ ნარეკალიძე**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
599 32-85-76.

⊙ კადრი



⊙ ანეკდოტები

რატომ არის, რომ მუდამ, როგორც კი ეკრანზე ჩვენი მინისტრების თუ მაღალჩინოსანთა უმეტესობა გამოჩნდება, გიჩნდება სურვილი, ჰკითხო მათ: „საყვარელო, ვინ გინდა გამოხვიდე, როდესაც გაიზრდები?“

* * *

– ძვირფასო, მოდი ავიღოთ ბანკიდან სესხი ახალი მანქანის შესაძენად! – ეუბნება ცოლი ქმარს.



– მაგრამ ამას ხომ დიდი ფული სჭირდება? ალბათ, მილიონი!

– მერე ვისესხოთ მილიონი!

– ვისესხოთ, მაგრამ რით გადავიხადოთ? თირკმლის გაყიდვა მომიწევს, იქნებ ორივესიც!

– ჰოდა, ორივეს გაყიდი კიდეც.

* * *

– დაშა, რა ჰქვია თქვენს სოფელში ქალებს, რომელთა ქმრები არ სვამენ?

– ჰქვიათ ის, რაც ყველგან – ქვრივები.

* * *

თუ მამაკაცი ქორწინდება იმიტომ, რომ დროა, ესე იგი, უკვე გვიანია.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
საარბაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24